თბილისი
134/3. ინვ 314
ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გაზეთი

№ 1006 სამშაბათი, 1 ოქტომბერი 1913 წ. № 1006

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

დღესასწაულისა გამო „სახალხო გაზეთის“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს.

სახალხო გაზეთი
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით
პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 2 მ. 25 კ.
თვეში ღირს 75 კაპ.
არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.
მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

ეკატერინე ისაკის ასული კვალიაშვილისა შვილებითურთ: ნინა და ნიკოლოზი და გიორგი ისაკის ძე გძელიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 28 სექტემბერს, საღამოს 11 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, სიდამბლით გარდაიცვალა პირველის მეუღლე, მეორეთა მამა, და მესამისა სიძე

ნიკოლოზ ივანეს ძე კვალიაშვილი.

გამოსვენება საკუთარის სახლიდან, ანჩისხატის ქუჩა № 3 და 1. დღეს, 1 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, ანჩისხატის ტაძარში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 664

ტელეფ. № 785. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 6—2
ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ **ნ. ჩხეიძის ასულის** მონაწილეობითურთ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე
ლაბირინთი
პიესა 4 მოქ. ს. პოლიაკოვისა, თარგ. ა. იმედაშვილისა.
პიესა დაჯილდოვებულია ა. ი. ოსტროვსკის სახელობის ჯილდოთი.
მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: პიერეტა, შოთაძის ასული, ჩხეიძის ასული; ბ-ნნი: გუნია, ზარდალიშვილი, სარაული, ციციშვილი, შანშიაშვილი, ურუშაძე.
დასაწყ. საღ. 8 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.
მზადდება წარმოსადგენად: „კულტურული მკვლელობა“, „მორევში“, „უნიადაგონი“ და სხ. 1473

კ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი
ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს 1913 წ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სცენაზე
წმინდა ანტონის სასწაული
კომ. 2 მოქმ. მ. მეტერლინკისა.
II. **არივ-დარია** მხიარული ვოდევილი.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მარგ. გოგოლაშვილის ასული, კახელი, ნარაკიძისა, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: გ. ანაშვილი, ა. გუცუშვილი, გომელაური, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, თვალჭრელიძე ს. კავსაძე, ს. რომანიშვილი, რ. სალაყაია, სტურუა, ლ. სამადაშვილი. ნ. ჭანკვეტაძე, ნ. ჭუმბურიძე, ძიმისტარაშვილი და კ. ხახანაშვილი.
რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** ადგილების ფასი 5 კ.—50 კ. **დასაწყისი საღ. 8½ ს.** ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. შემდეგი წარმოდგენა 6 ოქტომბერს. ,,წრის'' ადმინისტრაცია. 1486

ზამთრის ახალი კლუბი თეატრი
სამშაბათს, 1 ოქტომბერს,
საოჯახო საღამო
I. იმღერებს ცნობილი მომღერალი ქალი **ფ. ე. დოვიატ-ლიუბიმოვისა,** რომელიც, სხვათა შორის, შეასრულებს ქართულ რომანსებს.
II. **სინემატოგრაფის საშუალებით სურათები.**
დაწვრილებით პროგრამებში.
ადგილების ფასი თეატრში: 1 მ.-დან 30 კ.-მდე. ქანდარა საყოველთაო. სტუმრები კლუბში შესასვლელს იხდიან: მამაკაცნი—1 მან., მანდილოსნები—50 კ., სტუდენტები—25 კ. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1499

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობა
აცხადებს, რომ ხსენებული საზოგადოების ბათუმის სკოლისათვის საჭიროა მასწავლებელი ქალი. გამგეობა სთხოვს მსურველთ გამოგზავნონ თხოვნა და საბუთები გამგეობის თავმჯდომარის გ. ლ. ელიავას სახელზე 30 ამ სექტემბრამდის. ჯამაგირი დაენიშნება 600 მანეთი წელიწადში.
თუ გამგეობა დაინახავს საჭიროდ, სავალდებულოა სანიმუშო გაკვეთილების მიცემა. 1514

პირველ-ხარისხოვანი
დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა
მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.
დღეს, 1 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება
ორი დიდი წარმოდგენა
დღით განსაკუთრებით ბავშვებისთვის და მოწაფეებისათვის. თავშესაფარის ბავშვებს უფასოდ იწვევენ. **დასაწყისი 2½ საათზე. საღამოთი: დასაწყისი 8 საათზე.** უკანასკნელი დღეები გასტროლისა საქვეყნოდ ცნობილის, ველოსიპედზე შეუდარებელის მოსიარულის, ვირტუოზის **მისტერ დიკისა,** რომელიც შეასრულებს იშვიათსა და გონებისათვის მიუწდომელ ნომრებს. სანახაობათა-სანახობა! უდიდესი ატრაქციონი! ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველაგან ფურორი! სენსაცია! აღტაცება! ტაშისცემა! ოთხ და ექვს საჯდომიან ველოსიპედზე „ანდემ“-ზე ცარჯვში. მისტერ დიკი საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ ,,საბედისწერო გადახტომა'—სალტო-მორტალი ველოსიპედით, ცირკის თოლში განავარდება დატვირთულ ეტლზე. მოსკოვში აკვარიუმის ბაღში მისტერ დიკის გასტროლებს დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომელის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში მოსიარულე ხალხის რიცხვით აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვილეში! ამ საღამოსვე მონაწილეობს ,,4 ეშმაკი'' და ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. მესამე გამოსვლა გამოჩენილი გიმნასტის და მოჯირითე ლამაზი ქალის m-le **ნაცისა.** დაწვრილებით აფიშებში, დებიუტი ახლად მოსული ცნობილი კლოუნის კ. დურაშკინისა, რომელიც ყველგან დიდი სახელით სარგებლობს. დღეისთვის კონტრამარკები არ გამოდგება.
გამოსვლა 4 ეშმაკისა მე-2 განყოფილებაში, რომელიც იწყება 9 ნახევარ საათზე, მისტერ დიკისა მე-3 განყოფილებაში, დასაწყისი 10 ნახევარ საათ.
661 დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
შემდეგი წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები.

იერარქია საქ. ეკლესიისა: კათოლიკ და მღვდელ-მთავარნი,	1 მ.
იზ შკილი ვ. ქართ. კათოლიკენი,	10 კ.
ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა,	15 ,,
პარიზის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართ. დიდი მოურავის ამბებით.	30 ,,
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქ. ისტ. და მწერლ. წ. 1-ლი	3 მ.
,, იგივე წ. 2-ე,	3 მ.
რუსეთ. დამყარება საქართველოში,	20 ,,
სტატისტიკ. ცნობები საქართველოს შესახებ მე-18 საუკ.,	2 მ.
ფრონელი ა. მთიულეთი	40 ,,
,, კახეთის ამბოხება,	60 ,,
ქართლის ცხოვრება მარ. დედ. ვარ.,	3 მ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მე-13-ტე საუკუნემდე, წ. 1 ლი,	40 ,,
იგივე წ. 2-ე,	1 მ.
იგივე წ. 3-ე	40 ,,
ქვარიანი. საქარ. მოკლე ისტ. ყდით,	40 ,,
ახლად მიღებული წიგნები:	
ზოლა. ,,მაღაროებში მომუშავენი'', ი. ავალიშვილის ნათარგმნი,	1 მ.
ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია მე-19 საუკ.,	1 მ.
იოს ყიფშიძე. Житіе и мученичество Св. Антонія Раваха.	40 ,,
Н. С. Эсадзе, Первый генералъ-фельдцейхмейстеръ русс. артилл. при П. Великомъ царевичъ Имеретинскій Александръ Арчиловичъ.	

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული
1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ვ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

ფასი 1 მანეთი

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა გ. მეჯრაბიანცი
დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი** და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გასინჯვა.**
ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობ. 9—12 საათ.
ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ 12—1. **ფონ-ნიკე ვ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,606''და ,,914'' **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. [illegible] სამარტორიო. წ. 1035

26 სექტემბერს, იმ მატარებელში, რომელიც ტფილისში 8 საათზე მოდის, **დავკარგე პასპორტი, სურათი, სასალდათო ბილეთის პირი, რკინის გზის სეზონის ბილეთი** და სხვა საბუთები. მპოვნელს სთხოვს რაჟდენ ლელიაშვილი, მოიტანონ **ნიკოლოზ ებიაშვილთან,** ანევსკის ქუჩაზე, № 6, მეორე საპოლიც. უბანი, რისთვისაც საჩუქარს მიიღებს. 664

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებ ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ.ულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) პლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathien. იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი
ი. ზ. გძელიშვილი
სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს.
19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.** ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარდა ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ხ. გაზაკაძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი იოხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმ. 1—2 ს.
მ. მ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა ,,606''-ით 1462

ექიმი ივ. გომართელი ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

ექიმი კბილისა ნიკო რცხილაძე
გადავიდა მოსკოვის ქუჩა **№ 9.**
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა. № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., **№ 94,** კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი შ. ა. მიქელაძე 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი **№ 117** ტელეფონი 816.

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა **№ 2,** ტელეფონი 15—27. 1502

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დაიხურა კიევში მომხდარი, ქალაქის წარმომადგენელთა კრება. დასრულდა ისე, როგორც სხვა კრებანიც, რომელზედაც კი გაისმა სიმართლის ხმა. პოლიციელმა კრება დახურულად გამოაცხადა. ნ. გუჩკოვის რეზოლუციის წაკითხვის მიზეზით, რომელშიაც ნათქვამი იყო: სრულიად რუსეთის ქალაქების წარმომადგენელთა პირველი კრება აცხადებს... რომ საჭირო რეფორმების განხორციელების, დაგვიანება და 17 ოქტომბრის მანიფესტით ბოძებულ თავისუფლებათა მიჩქმალვა ქვეყანას უქადის დიდს უბედურებას და დამღუპველ შედეგს“. ეს განაცხადა გუჩკოვმა 17 ოქტომბრის პარტიის ერთ-ერთმა ბელადმა; და თუ კი მთავრობის ბურჯმა და ყოველი თავისუფლების მოწინააღმდეგე პარტიის ლიდერმა აზრი ასე რადიკალურად შეიცვალა რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობაზე, ცხადია რუსეთის საზოგადოება მართლაც ერთიანად მიიწევს ოპოზიციისაკენ. სატახტო გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ ამ მოვლენას, „ნოვოე ვრემიაც“ კი აღარ თანაუგრძნობს მთავრობას; იგი სწერს:

„კიევში მომხდარმა, ქალაქების წარმომადგენლების კრებამ ძლიერ არეული შთაბეჭდილება დასტოვა. შეიძლება ეს მით აიხსნებოდეს რომ კიევში შეგროვილ ქალაქების წარმომადგენელთა შორის ცოტა აღმოჩნდა, ისეთი სპეციალისტი, რომელსაც სცოდნოდა ქალაქის მეურნეობის სხვა და სხვა დარგი. შეიძლება მიზეზი ისიც იყოს, რომ ადმინისტრაცია შეეცადა კრების მსჯელობის ფარგალი შეევიწროებინა, ალბად იმიტომ, რომ დაინახა რაიმე დამოკიდებულობა ამ კრებისა და წინად მომხდარი საერობო და საქალაქო მოღვაწეთა მომხრე პოლიტიკურ კრებების შორის. ასე იყო თუ ისე, კრებამ საქმიანობის მხრივ ვერ მოახდინა შთაბეჭდილება იმ საზოგადოებრივ ჯგუფის ავტორიტეტულ გამოსვლას, რომელმაც თავს იდვა რუსეთის სამოქალაქო მეურნეობის სამსახური“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ კრებამ მიჰყო ხელი უფრო ჩივილს ვიდრე საკითხების სერიოზულად შემუშავებას, რაშიაც გაზეთი ბრალს მთავრობასაც აღებს:

„კრება პირველი დღიდანვე ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩაყენებული, რაც ძლიერ აფერხებდა მის ნაყოფიერ მუშაობას. „პოლიტიკური“ ხასიათის რეზოლიუციების შიშით დამფრთხალმა მთავრობამ კრება საოცარი ეჭვიანობის ატმოსფერაში გახვია. კრების მსჯელობის ფარგალი, მისი გეგმა, მკაცრად გადათვალიერებული ადმინისტრაციის მიერ, წარმოუდგენლად შევიწროებული გამოდგა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ კრებას აეკრძალა არამც თუ სამოქალაქო დებულებათა კრიტიკა, არამედ კერძო ორატორების მიერ მისი ხსენებაც კი პოლიციელების სწრაფ ჩარევას იწვევდა. და ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც თვით მთავრობამაც კი შეიგნო დახავსებულ კანონის დაუკმაყოფილებლობა და პირველ რიგში აყენებს მის გადათვალიერებას“..

შემდეგ გაზეთი დასძენს:

„შეეფერება განა მთავრობას ასეთი წვრილილმანი ხასიათის კინკლაობა, რომელიც აღმოცენებულია მხოლოდ სრულიად დაუსაბუთებულ ეჭვიანობაზე?“

„ნოვოე ვრემიას“ ასეთმა აღალადებამ შეიძლება ბევრი გააოცოს, მაგრამ იგი ადვილი გასაგები გახდება თუ ცოტა ქვევით ჩაჰყვებით წერილს:

„და რაც უფრო საყურადღებოა, მთავრობა ამგვარად ეპყრობა იმ პარტიას და იმ კრებას, რომელსაც მემარცხენეები მრავლად უძღვნიდნენ საყვედურებს კაპიტალისტურ და ბურჟუაზიულ ტენდენციებისთვის“.

მიუხედავად კრების უნაყოფობისა „ნოვოე ვრემია“ აღიარებს, რომ...

„პოლიტიკური მნიშვნელობის მხრივ, როგორც საზოგადოებრივმა კრებამ, რომლის უმთავრესი მნიშვნელობა იმაშია, რომ გამოარკვიოს მოთხოვნილება და განწყობილება ამა თუ იმ საზოგადოებრივ ჯგუფისა, კიევის კრებამ, უეჭველია ეს განწყობილება საკმაოდ გამოისახა, ნათლად გარკვეულსა და გამოთქმულ საზოგადოებრივ სურვილში, რომელიც მიმართულია ქვეყნის სახალხო წარმომადგენლობისადმი“.

გგონიათ, რომ „ნოვოე ვრემიამ“ შეიგნო თითქოს 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელების დაგვიანება შეუძლებელია? სრულიადაც არა! მისი დევიზი ხომ ანდაზით გამოიხატება: „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“!

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ტფილისს ჩამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვარლამ გელოვანი, რომელიც ორსამ დღეს დაჰყოფს აქ და შემდეგ ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრება.**

✦ **ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო.** დაპატიმრებულნი, რომელნიც სამის დღის წინად განთავისუფლეს, უსახელო საზოგადოების რწმუნებულის ბ-ნ რობის

განკარგულებით ისევ მიიღეს სამსახურში. რობისა და მუშათა შორის მოლაპარაკება ისევ გრძელდება. მუშების მხრით არჩეულია შვიდი კაცი. ორივე მხარე დათმობისკენ იწევს და მოსალოდნელია, საბოლოო შეთანხმება ჩქარა და მშვიდობიანად მოხდეს. მცირე უთანხმოებაა მხოლოდ საოჯახო ბილეთების გამო. რობი თანახმაა საოჯახო ბილეთები მისცეს მუშებს იმ პირობით, რომ კვირაობით ამ ბილეთებით სარგებლობა არ შეეძლოთ; მოსწავლეთა ბილეთების მიცემაზეც თანახმაა, მხოლოდ ამ ბილეთებით ისარგებლონ დილიდან დაწყებული ნაშუადღევის 3 საათამდე. გუშინ რობისა და მუშათა რწმუნებულების შორის მოლაპარაკება სწარმოებდა სამკურნალო დახმარების მოწყობის თაობაზე. „უსახელო საზოგადოებას წელიწადში 12,000 მანეთს ხარჯავს სამკურნალო დახმარებაზე და გუშინ სწორედ ამ ფულის რიგიანად მოხმარების გამო იყო ლაპარაკი. ამ ფულით ერთნი საჭიროდ სცნობდნენ თვით ტრამვაის დირექციასთან დაარსებულიყო საავადმყოფო, მეორენი კი უმჯობესად სთვლიდნენ, შეთანხმებულიყვნენ რომელიმე კერძო სამკურნალოსთან.

◆ **სპარსეთში გასაგზავნ დეპეშათა ტარიფის** შეცვლის საჭიროების თაობაზე მეფის მოადგილის საგანგებო მოხელემ ტფ. საბირჟო კომიტეტს თვისი აზრის გამოთქმა სთხოვა. ეს საკითხი კომიტეტმა 28 სექტემბერს განიხილა და სასურველად სცნო, ტარიფი ამ გვარად შემცირებულ იქმნა: რუსეთიდან სპარსეთში გასაგზავნ დეპეშაზე (სიტყვაზე) 10 კ. დაწესდეს, ხოლო კავკასიიდან აზერბეიჯანში გასაგზავნზე კი—5 კ.

◆ **სატრაქტირო გადასახადი** უკვე გაანაწილეს ვაჭრების მიერ არჩეულმა კაცებმა და სია გუშინ ქალაქის გამგეობას წარუდგინეს.

◆ **ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა-ბაზარი** გაიხსნება დღეს, შუადღის 12 საათზე, საარტისტო საზოგადოების სეზაფხულო შენობაში (მიხეილის ქუჩა, № 107). გამოფენის გახსნაზე დასასწრებლად მიწვეულნი არიან სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებისა და დაწესებულების წარმომადგენელნი. ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ გამოფენა-ბაზრის კომიტეტს 150 მან. მისცა საუკეთესო ექსპონანტების პატრონთა დასაჯილდოვებლად. გამოფენაზე შესვლის ფასი 10 კაპ.

◆ **ტრამვაის გამოსყიდვის გამო.** ქალაქის გამგეობა ქალაქის მთავარ კონტროლიორს ბ-ნ ტერ-დავითიანცსა და ქალაქის გამგეობის მეორე განყოფილების საქმის მწარმოებელს დაავალა, გამოარკვიონ ტფ. ტრამვაის ნაღდი მოგება 1912 წლის 14 მარტიდან 1913 წლის 14 მარტამდე.

◆ **უეცრად გარდაიცვალა** რაჭის მაზრის მცხოვრები გარსევან ნიკოლოზის ძე ვაწაძე.

◆ **ქალაქის ელექტრონის სადგურზე** დიზელების პარალელური მუშაობა, როგორც იქმნა, მოაგვარეს. ამ დღეებში ტფილისს ჩამოვა ნიკოლაევის ქარხნის წარმომადგენელი, რომელიც ქალაქს გამგეობას ამ მანქანებს ჩააბარებს.

◆ ტფილისის რკინის გზის დეპოს მოსამსახურეები ვუერთდებით მშობლებისა და ნათესავების მწუხარებას და ვგლოვობთ ძვირფასი ამხანაგის გიგა ჯუღელის უდროოდ დაკარგვას. დეპოს მოსამსახურეების მინდობილებით სეპიტო.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულოში.** მიუხედავად იმისა, რომ დღეს, 1 ოქტომბერს, დიდი უქმეა, სამხედრო ბეგარაში გაწვეულნი მოვალენი არიან, დილის 9 საათზე სამხედრო სამმართველოს უფროსთან გამოცხადდნენ, სადაც დღეს შეამოწმებენ ჯარში გაწვეულთა სიებს. 2 ოქტომბერს იქვე კენჭის ამოღება მოხდება. 3 ოქტომბერს ჯარში გაწვეულნი ქალაქის გამგეობაში უნდა გამოცხადდნენ, სადაც მათ ქალაქის სამხედრო საკრებულო შეამოწმებს.

◆ **მცხეთობა.** დღეს, 1 ოქტომბერს, მცხეთის სვეტიცხოვლის უძველესი ქართული ტაძარში თვის დღესასწაულსა უქმობს. ტაძარში დღეს მწირველია საქართველოს საეგზარხოსოს დროებით მმართველი ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი, გორის ეპისკოპოსის ანტონის თანამწირველობით. რადგანაც ამ დღეს ტფილისიდან მრავალი ხალხი მიდის ხოლმე მცხეთას, ამიტომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რათა დღეს მცხეთასა და ტფილისს შუა საგანგებო მატარებლებმა იმუშაონ.

◆ **უვარგისი თევზი.** 29 სექტემბერს ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო აგენტებმა შავერდოვმა და არღუთინსკი-დოლგორუკოვმა მეშვიდე უბანში (ავლაბარი) 10 ფუთი უვარგისი იშხანი და 8 ფუთი ხრამული აღმოაჩინეს და მოსპეს. დამნაშავეებს სამართალში აძლევენ.

◆ **სავაჭრო პოლიციაში.** ქალაქის გამგეობამ საბოლოოდ გადასწყვიტა, ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებისათვის ფორმის ტანისამოსი და ქუდი შემოიღოს.

◆ **დიდის მთავრის ქუჩის გაფართოვების** პროექტი უკვე შეადგინა და ქალაქს გამგეობას წარუდგინა ინჟენერმა ლისიცინმა. პროექტის განხორციელება 2,200 მან. ხარჯს მოითხოვს.

◆ **იუბილე.** დღეს, 1 ოქტომბერს, ბათომის ქალაქის თვითმმართველობა ბათომში საქალაქო დებულების შემოღების 25 წლის იუბილეს დღესასწაულობს. ამის გამო ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა ბათომის ქალაქის მოურავს თ-დს ანდრონიკაშვილს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა.

◆ **მატარებელი-საყინულე.** გუშინ ტფ. საბირჟო კომიტეტმა და ქალაქის გამგეობამ დეპეშები მიიღეს მოსკოვში საყინულე-მატარებლის ჩასვლის შესახებ. როგორც დეპეშებიდან სჩანს, ექსპერტებს გაგზავნილი სურსათ-სანოვაგე შეუმოწმებია და კარგს მდგომარეობაში აღმოუჩენია. განსაკუთრებით კარგად შენახულა დაკლული ცხვარი, ხილი და თევზი. კისლოვოდსკიდან გაგზავნილი დაკლული ცხვარი კი კარგად ვერ შენახულა.

◆ **უფასო ამბულატორია.** წითელის ჯვრის საზოგადოების ტფილისის განყოფილება ნადეჟდას სახელობისა ნავთლუღში უფასო ამბულატორიას აარსებს ხავთალულისა, მამუკაანთ სოფლისა და კახეთის გზატკეცილზე მცხოვრებთათვის. ამბულატორიის შენობა განყოფილებას უკვე აქვს. მის მოსაწყობად წითელის ჯვრის საზოგადოების მთავარმა სამმართველომ 1,420 მან. გადასდო. ამბულატორიაში უფასოდ მსახურობის სურვილი სამხედრო ჰოსპიტალის შვიდმა ექიმმა განაცხადა. ამბულატორიის შესანახად ყოველწლიურად საჭიროა 300 მან. განყოფილებამ ამ ფულის გადადება ქალაქს თვითმმართველობას სთხოვა. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს თხოვნა და დაადგინა: წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს, გადასდოს 300 მან.

◆ **მგოსანი ვაჟა-ფშაველა** 29 სექტემბერს ტფილისს ჩამოვიდა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ტფ. საბირჟო კომიტეტის** 28 სექტემბერს მოხდა ა. ნ. მილოვის თავმჯდომარეობით. კომიტეტმა დაადგინა: 1) გადასდოს 200 მან. საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრების მომწვევ კომიტეტის განკარგულებაში, 2) მოიწვიოს მოკლე ხანში კომიტეტის კრება მცოდნე პირთა მონაწილეობით კავკასიის მესაქონლეთა კრების პროგრამის შესამუშავებლად და კრების მოწვევის დღის ასარჩევად, 3) სთხოვოს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სავაჭრო განყოფილებას, რათა აბრეშუმის თესლის კონტროლის კანონ-პროექტი ჩქარა განახორციელოს, 4) გააუქმოს საბირჟო არტელი, ეს ამბავი გაზეთებში გამოაცხადოს და პრეტენზიების შესატანად ორის კვირის ვადა დანიშნოს, 5) ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა—ბაზრის მომწყობ კომიტეტს 50 მან. აღმოუჩინოს დახმარება, 6) დაავალოს კომიტეტის მდივანს გ. ი. ხატისოვს, შეადგინოს მოხსენება საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა მეშვიდე კრებისთვის და 7) დაავალოს ბ. ე. ბუდაღოვს, ს. პ. მანუელიანცს და გ. ი. ხატისოვს, საბირჟო კომიტეტის სახელით მიიღონ მონაწილეობა სომხურ ანბანის 1,500 წლის არსებობის იუბილეში.

სასწავლებლებში

◆ **დედათა სამასწავლებლო ინსტიტუტი.** მოკლე ხანში განზრახულია დედათა უმაღლეს პირველდაწყებით სკოლების დაარსება ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში. რადგანაც ამ სასწავლებლებისთვის საჭირო არიან მასწავლებელი ქალნი, რომელთაც ინსტიტუტი უნდა ჰქონდეთ გათავებული, ამის გამო უკვე გადაწყვეტილია, დაარსონ ორი დედათა სამასწავლებლო ინსტიტუტი—ერთი ჩრდილოეთ კავკასიასა მეორე—ამიერ-კავკასიაში. ერთის ინსტიტუტის დაარსება ტფილისშია განზრახული. ინსტიტუტისთვის საჭიროა 1,200-დან 2,000-დე ოთხკუთხი საჟენი მიწა. ყოველწლიური ხარჯი ექნება 39,100 მან. მოწყობა დაჯდება 6,000 მან., ხოლო შენობის აგება 112.000 მანეთამდე. ინსტიტუტისთვის უფასოდ მიწის დათმობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ქალაქის თვითმმართველობას სთხოვა. ქალაქის გამგეობამა და ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ დაადგინა, დაუთმოს ინსტიტუტს უფასოდ 1,500 ოთხკუთხი საჟენი მიწა ნავთლუღში ან სხვა ალაგას. საკითხს საბოლოოდ ქალაქის საბჭო გადასწყვეტს.

სომხეთა ცხოვრება

◆ **სომხეთა კათალიკოსმა** გუშინ სამადლობელი დეპეშა გამოუგზავნა ტფილისის ვაჭართა საზოგადოებას სახელწოდების დღის მილოცვისათვის.

შეცდომის გასწორება. თ. ღლონტის „ეროვნ. საკითხი და ს.-დ“ შემდეგი შეცდომებია შეპარული. დაბეჭდილია: მართველობით...; უნდა იყოს—უკან დახევას, კავკასიის ოლქობრივ თვითმართველობით; 1877—1847.; „კომლი“—„ხომლი“. დაგიჯერებთ—დაგიჯერებიათ. „ექ.—ა. ჯ.-ში“: ტერმინოლოგია — უნდა იყოს—კლასიფიკაცია (სხოლიოში); აებ-ბაკერკამდე—ბებ-ბავერკამდე.

წინამძღვ.-კარის სკოლის იუბილეს გამო

ხარკოვი. ვულოცავთ დიდად პატივცემულ ილ. წინამძღვარიშვილსა და მის პირმშო სკოლას 30 წლის სასარგებლო მოღვაწეობას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ქართვ. სტ. სათვისტომოს გამგეობა.

ზესტაფონი. გილოცავთ თქვენი სკოლის 30 წლის იუბილეს.

ილ. წერეთელი, კ. საყვარელიძე, მღ. კ. ანთაძე, ვლ. ნიჟაძე.

ვულოცავ ილ. წინამძღვარიშვილს 30 წლის უანგარო მოღვაწეობას და ვუსურვებ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, ხოლო მის სკოლას აყვავებას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პეტროვის აკად. სტ. რცხილაძე.

ბაქო. ვულოცავ 30 წლის იუბილეს წინამძღვარიანთკარის სკოლას, მის დამაარსებელს პატივცემულ ილიას კი მრავალჟამიერ სიცოცხლეს სამშობლოს სასარგებლოდ.

ნიკოლოზ სრესელი.

ჭიათურა. სოფ. ტარუაშვილს. გთხოვთ ჩვენი სახელით დაესწროთ წინამძღვარიანთკარის იუბილეს.

ჭიათ. დრ. საზოგ. გამგეობა.

ბატონო რედაქტორო! ამ დეპეშამ დაიგვიანა და ვეღარ მოვახერხე წასვლა და პირადად დასწრება, რათა ჭიათურის ქართ. დრამ. საზოგადოების სახელით გადამეცა წრფელი სალამი წინამძღვარიანთკარის სკოლისათვის 30 წლის იუბილეს გამო და ამ სკოლის მეთაურის ილ. წინამძღვარიშვილისათვის სურვილი დღეგრძელობისა, ხოლო მუხლის მოყრით საუკუნო ხსენება უკვდავი ილია ჭავჭავაძისათვის.

ჭიათ. დრამ. საზ. გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ს. ტარუაშვილი.

სამტრედია. სამტრედიის საზოგადოება გულწრფელად იზიარებს ქართველთა მხიარულებას იმ დღესასწაულის გამო, რომელიც გამოიწვია 30 წლის ნაყოფიერმა და დაუღალავმა მოღვაწეობამ ქართველთა შორის დიდად სასარგებლო კულტურული დარგის გასავრცელებლად; ვუსურვებთ კვლავაც აყვავებას ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებას, ხოლო მის სულის ჩამდგმელს, ი. წინამძღვარიშვილს სასახელო ხანგრძლივ სიცოცხლეს.

გ-ნი ი. წინამძღვრიშვილისა და მის სკოლის იუბილე

29 ენკენისთვეს დილა ადრიანად ტფილისიდან 40-მდე ეტლით წინამძღვარიანთ კარისაკენ გაემართა 120-მდე წარმომადგენელი ილია წინამძღვრიშვილისა და იმის სასოფლო-სამეურნეო სკოლის საიუბილეო დღესასწაულზე დასასწრებლად. ამათ შორის იყვნენ: მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ვატაცი, ტფილისის გუბერნატორი ჩერნიავსკი, ყოვლადუსამღვდელოესი ანტონი, მეფის მოადგილის საბჭოს წევრი ჯუნკოვსკი, სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის გამგე ბეზობრაზოვი, სახ. სათავად-აზნ. ბანკის ამიერ კავკ. განყოფილების გამგე პავლოვი, ქართ.-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. კ. ნ. აფხაზი მაზრის მარშლებითა და დეპუტატებით, ქალაქის თავი [illegible] ი. ხატისოვი და ქალ. გამგეობის წევრი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი რამდენისამე ხმოსნით, წარმომადგენელნი: ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მთავარ გამგეობისა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, სასკოლო კომიტეტისა, ტფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებისა, ტფილისის და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლებისა, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა, დრამატიულ საზოგადოებისა, ტფილისის და ქუთაისის ქართულ გიმნაზიებისა, სომხეთა ნერსისიან სემინარიის, ქართულ, რუსულ და სომხურ გაზეთების რედაქციებისა და სხვანი. ეტლები შეჩერდნენ წიწამურში იმ ადგილას, სადაც მოკლულ იქმნა ჩვენი დიდებული მგოსანი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ხელი შეუწყო ილია წინამძღვრიშვილს სკოლის დაარსების საქმეში. იმ. ეპ. ანტონიმ გადაიხადა პანაშვიდი. პანაშვიდი გადახდილ იქნა აგრეთვე საგურამოში, სტაროსელსკის სულის მოსახსენებლად, რომელიც აგრეთვე ეხმარებოდა ილია წინამძღვრიშვილის სკოლას.

წინამძღვარიანთ კარში წარმომადგენლებს წინ მიეგება მოხუცი იუბილიარი ი. ი. წინამძღვრიშვილი და აურებელი ხალხი—ადგილობრივი გლეხობა, თავად-აზნაურობა, სკოლის მოსწავლენი და მასწავლებელნი. აგრეთვე წინად მოსულნი ქუთაისის საბაღოსნო სკოლის მოწაფენი ამ სკოლის მზრუნველით თავ. პეტრე წულუკიძის მეთაურობით. სკოლის შესავალი ალაყაფის კარები და ეზო მშვენიერად მორთული იყო ყვავილებით, მცენარეებით, სატრიუმფო თაღებით და სხვა.

პირველად, სკოლის ეკლესიაში, ეპ. ანტონიმ გადაიხადა პანაშვიდი იუბილარის მეუღლის სულის მოსახსენებლად და შემდეგ სამადლობელი პარაკლისი იუბილარის სადღეგრძელოდ. გალობდა სკოლის მოწაფეთა გუნდი ეკლესიაში გრძნობით სავსე სიტყვები წარმოსთქვეს ეპ. ანტონიმ და ადგილობრივმა მღვდელმა. შემდეგ დაიწყო მილოცვები ეზოში საგანგებოდ გამართული ტრიბუნასთან. სიტყვები წარმოსთქვეს: სენატორმა ვატაცმა, გუბერნატორმა ჩერნიავსკიმ, მღვდელმა ასათიანმა, ქალაქის თავმა ხატისოვმა, გუბერნიის მარშალმა თ. აფხაზმა, რომელმაც ცალკე სიტყვით მიჰმართა ადგილობრივ გლეხობასაც, ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა აკაკიმ, საისტ.-საეთნოგრ. საზოგადოების თავმჯდომარემ თაყაიშვილმა, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებმა სოკოლოვმა და ტიმოფეევმა და ორიოდე სხვამაც. სიტყვების წარმოთქმისათვის ბევრი წარმომადგენელი იყო ჩაწერილი, მაგრამ მილოცვის ცერემონია შეწყვეტილი იქმნა, რადგან გვიანაც იყო და ავდარიც ხელს უშლიდა (ძლიერი ქარი ჰქროდა და თითქმის არაფერი ისმოდა წინა რიგებშიაც). იუბილარს დიდძალი დეპეშაც მოუვიდა, მაგრამ მათგან მხოლოდ ორიოდე იყო წაკითხული. ყველა დამსწრეთ მოხუცმა იუბილარმა გრძნობით სავსე სიტყვებით მადლობა გადაუხადა.

ამის შემდეგ ყველა დამსწრე მიიწვიეს, იქვე, ეზოში გამართულ სუფრაზე, და გაიმართა სადღესასწაულო ნადიმი, რომლის დროსაც ბევრი სიტყვა იქმნა წარმოთქმული. საღამოს მეხუთე საათზე საზოგადოება ტფილისისაკენ გაეშურა. დღესასწაულმა, თვით სკოლამ და მისმა მოწყობა-დაწესებულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს სტუმრებზე და ყველანი გულწრფელად და აღტაცებით ულოცავდნენ გამარჯვებას მოხუცს მოღვაწეს სახელოვან ილია წინამძღვრიშვილს.

30-ის წლის წინად

(იშვიათ იუბილეს გამო)

ერთ დროს ქართულს გაზეთებში იბეჭდებოდა მშვენიერი წერილები შესახებ იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა სამეურნეო ქვეყანაა; ჩვენ კი ზურგი შეგვიქცევია მეურნეობისთვის და უმეტესად ვსწავლობთ ისეთ რამეს, რომელიც ეკონომიურად ვერ აგვაღორძინებსო. ავქსონი ურჩევდა ქართველობას მიეღო სამეურნეო განათლება, აეყვავებინა თავისი მამულ-დედული, შეეძინა ქონება, გაენთავისუფლებინა თავი ჩარჩ-ვაჭრების მონობიდან და გამხდარიყო ღირსეული შვილი სახელოვანი წინაპრებისა. მეურნეობა მშვენიერებაა. თუ ფინებმა თვისი კლდოვანი სამშობლო სიმდიდრის წალკოტად აქციეს, ჩვენ ჩვენს წალკოტად გაჩენილს საქართველოს როგორ ვერ მოვუვლით, როგორ ვერ გავამდიდრებთ, როგორ ვერ შევამკობთო.

ამ საგულისხმო წერილების დამწერი თავის სახელს არ აცხადებდა, მაგრამ საქართველომ იცოდა, რომ მათ ავქსონად იყო ყველასაგან პატივცემული და აწ მხცოვანი მოღვაწე ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი.

მალე მან სიტყვა საქმედ აქცია და თავის საკუთარ მამულში წინამძღვრიანთ-კარში თავის ხარჯით გახსნა სამეურნეო სასწავლებელი.

ეს იყო 30-ის წლის წინად. გახსნაზე დასასწრებლად ტფილისიდან გაემგზავრა დიდძალი ხალხი. მათ შორის ერია ამ სტრიქონების დამწერიც.

რამდენი მოგონება გვიელვებს თავში, რამდენნი ცოცხალ აღარ არიან იმათგან, რომელნიც მაშინ შესტრფიალებდნენ განათლების ახალს კერას, რომლისაგან სამართლიანად მოელოდნენ საქართველოს მეურნეობის აღორძინებას!

გიორგი ქართველიშვილი, მგოსანი იოსებ ბაქრაძე და მე ცალკე ეტლით მივეშურებოდით წინამძღვრიანთ-კარს და გზა და გზა სულ იმაზე ვბაასობდით, თუ რა შეუძლია კაცს, ოდეს ხალხის, ერის სიყვარულით გამსჭვალულია და მის საკეთილდღეოდ ჰფიქრობს და ზრუნავს მარადის.

წინამძღვრიანთ-კარს რომ მივედით, იქ დაგვხვდა თვით ილია წინამძღვრიშვილი, დიდ ილია ჭავჭავაძესთან ერთად. ორივეს სიხარულის ნათელი ადგათ. მალე მოვიდა ღენერალი სტაროსელსკიც, დიდი ილიას ქვისლი და სიძე გურამიშვილებისა. ეს ღენერალი ქართველების წარმატების მოსურნე იყო და ამასვე დაემტკიცებინა წესდება სკოლისა, რომლის გახსნაზე აწ შეკრებილიყო ხალხი გარშემო სოფლებიდანაც.

მღვდელმა გიორგი ასათიანმა დაიწყო საეკლესიო წესის ასრულება და ბოლოს ჩინებული სიტყვა წარმოსთქვა.

ყველა მიესალმა ილია ივანეს ძეს და მიულოცეს ასეთი დიდი საქმის დაგვირგვინება. გლეხობა და ყველა თავს ევლებოდნენ ძვირფას მოჭირნახულე ილიას.

საკლასო ოთახების დათვალიერების შემდეგ ილიამ სტუმრები მიიწვია სუფრაზე, რომელიც გაშლილ იყო მუხათა ჯგუფის ქვეშ. თავში მოთავსდა სტაროსელსკი, ბოლოში დიდი ილია ჭავჭავაძე. გაიმართა სადღეგრძელოები. ყველანი აქებ-ადიდებდნენ ილია ივანეს ძეს და მის საქმეს. სადღეგრძელოები თუმცა მადლიერი გულის სიღრმიდან იყო აღმოხეთქილი, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ მათ რაღაც აკლდა. ის-ის იყო ასაშლელად ემზადებოდნენ, რომ დიდი ილია ჭიქით ხელში აიმართა ფეხზე, გადავიდა ბლომად მოგროვილ სოფლელების მხარეს და მიმართა მათ თავისი ცნობილი სიტყვით.*) გლეხებიცა და დანარჩენი სტუმრებიც ყველანი ფეხზე ადგნენ და შემოეხვივნენ დიდ ილიას. სიტყვის დაწყებას ემზადებოდა, რომ მოვკარით ყური სტაროსელსკის წართქმას: „მაგან კი ილაპარაკოს და გლეხები ყველაფერს ადვილად მიუხვდებიან: მაგას იგინი ადიდებენ და ეთაყვანებიან, უმაგის-რჩეოდ და მაგის დაუკითხავად ეგენი ფეხს არ გადასდგამენ ხოლმე, მაგის ძმური სიტყვა ჩვენი ხეობის ქართველებისთვის კანონი და წესია“-ო**). დაიწყო ილიამ დინჯად, წყნარად, მკაფიოდ დიდებულს შთაბეჭდილებას ახდენდა ის ადგილები, სადაც იგი შეეხებოდა განათლების საჭიროებას, დედამიწის ავ-კარგის გაგებას, მიწის გულში უძრავად მდებარე სიმდიდრის შეძენის საქმეს და სხვ. [illegible] ლოს მისი მჭერმეტყველება უმაღლესს წერტილამდე ადიწია. დღეს რომ ვიგონებ, ვფიქრობ, რატომ მაშინ არ იყო ფონოგრაფი, რომ ეს დიდებული წარმოთქმა საქართველოს უდიდესი სკოლისა გადეღო და მარად დაეტკბო ჩვენი ყურთა სმენა და გულისყური. გათავდა მჭერმეტყველება და იგრიალა ტაშისკვრამ. გლეხობამ ცალკე მადლობა გადაუხადა ორატორს და აღუთქვა: თქვენს დარიგებაზე ვივლითო და ჩვენს შვილებს ამიერიდან მეურნეობას შევასწავლით იმ სასწავლებელში, რომელიც გაგვიხსნაო ჩვენმა საყვარელმა ილია წინამძღვარიშვილმაო. მაგათი გვარისელები სულ წინამძღვრები ყოფილან და მაგანაც მამა-პაპათა ანდერძს არ უღალატა, კეთილად გვიწინამძღვრებსო.

საღამოვდებოდა. სტუმრები ეთხოვებოდნენ წინამძღვარიანთკარსა და სამაგალითო მასპინძელს, ილია ივანეს ძეს. დიდმა ილიამ მიგვახედა არაგვის მხრისკენ და გვითხრა: „რა დიდებული სურათია, რა მშვენივრად გამოიყურება ჩამავალი მზე ამ მუხების ჯგუფიდანო!“ არ დამავიწყდება სიკვდილამდე, ამ მზის სხივები რა მომხიბლავად ეთამაშებოდა მაშინ თვით მის მოტრფიალე ილიას ლამაზად გაბადრულს პირისახეს!

ნათლით მოსილები დაგვხვდნენ და ნათლითმოსილებმავე ორივე ილიამ გამოგვისტუმრეს.

ერისთვის ძეგლის აგებით თვითონაც თავის სიცოცხლეშივე ძეგლი დაიდგა მადლით მოსილმა ილია ივანეს ძემ.

მ. ჯანაშვილი.

---

*) ეს სიტყვა იმავე წელიწადს დაბეჭდა „ბუნების-კარში“ იაკობ გოგებაშვილმა, როგორც მარგალიტი მჭევრმეტყველობისა და ჩინებული გეგმა, ქართველთა მიერ მეურნეობისა და სამთო საქმის შესწავლის საჭიროებისა.

**) „როცა მე აქაურობას შემოვესიძე (1883 წელს), მას აქეთ ვიცი, რომ აქაურობა ილიას აღმერთებდა, თავის კეთილ მამად და მთელის საქართველოს წარმატების მოტრფიალე მესვეურად მიითვლიდა, მასთან დაიარებოდა თავისოფლად, რჩევისა და დარიგების მისაღებად, ხოლო მის დღეობას მანანასებრ მოელოდა მთელი ხეობა და ილიობის მოსალოცად ყველა, ვინც მოცლილი იყო, სიხარულით მიეშურებოდა საგურამოს. არ დამავიწყდება: ხოლერა რომ დაერია საქართველოს 1892 წელს და აქა-იქ დაინიშნენ მასთან მებრძოლი წრეები, ილია, როგორც აქაურ წრის გამგებელი, თავდადებით და უშიშრად დაიარებოდა სოფლით სოფლად, არიგებდა ხალხს და ჰპატრონობდა. მისი ანგარიში ხოლერასთან ბრძოლის შესახებ იმავე წელიწადს, სხვა ამგვარსავე ანგარიშებთან ერთად, მთავრობამ დაბეჭდა გაზეთში. მგონია, „პრავიტელსტვენნი ვესტნიკში“. მ. ჯ.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

ინტელიგენტთა სიმრავლით, მგონი, იშვიათი ქალაქი დაედრება ჩვენი ქალაქის საბჭოს; 42 თუ 43 ხმოსანში 26 ხმოსანს უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული და ამაზე მეტი აბა რა მოეთხოვება პატარა პროვინციალურ ქალაქს, მაგრამ ამ „უმაღლესმა სწავლამ“ ქალაქს ვერც წინად შესძინა რამე და ვერც ეხლა.

სამი წელიწადია მოქმედობს ქალაქის ახლანდელი საბჭო და მცირე საქმე რა არის—ისიც არ გაუკეთებია და ქალაქის გამგეობის ყოველ მეცადინეობას საქმის გასაუმჯობესებლად დიდს ოპოზიციაში უდგას.

ისეთმა მცირე საქმემ, როგორიც არის, მაგალითად, ქალაქის მამულების შეფასება, ჩვენი, ჩვეულებრივად მშვიდი, ხმოსნები ისე გააცეცხლა, რომ კაცს ეგონებოდა პირველ მეომართან აქვს საქმეო.

რათა? იკითხავთ თქვენ. იმიტომ, რომ მამულების შეფასება პირველად ხმოსნებისა და მათთანების ქონებას დააწვებოდა მძიმე, თუმცა სამართლიან ტვირთად. მიუხედავად ქალაქის თავის დასაბუთებული მოხსენებისა, რომ მდიდართა შენობანი ნაკლებ გადასახადს იხდიანო, ქალაქის საბჭომ ორჯელ უარჰყო გამგეობის წინადადება. საქმეში გუბერნატორი ჩაერია, მან დაავალა ქალაქის საბჭოს, უძრავ ქონებათა ხელ-მეორედ შეფასება, მაგრამ საბჭო თავის ახირებულ „ოპოზიციას“ არ ეშვება და დღეს იქვე ვართ, სადაც 2-3 წლის წინად ვიყავით.

ყველგან, სადაც კი უნარისა და თაოსნობის გამოჩენაა საჭირო, ჩვენი ხმოსნები უკან იხევენ და, ერთი სიტყვით, სპობენ ყველაფერს—ეგ ჩვენი საქმე არ არის, მაგას ჩვენ ვერ მოვახერხებთო და სხვა ამგვარი.

ზევით რომ ვთქვი, ჩვენი ხმოსნების უმეტესი ნაწილი უმაღლესი სწავლით აღჭურვილია მეთქი, ის კი არ გეგონოთ, რომ ისინი ქალაქის საქმეთა მართვა-გამგეობაში ხამები იყვნენ — წინააღმდეგ, უმრავლესი მათგანი ძველთა-უძველესი ხმოსნები არიან და მათი მეოხებით ერთი ნაბიჯი არ წარუდგამს ჩვენს ქალაქს წინ. სულ უბრალო მაგალითი სავსებით ახასიათებს ჩვენს ახლანდელსა და წინანდელ ხმოსნებს რამდენიმე წლის მეცადინეობის შემდეგ 7 თუ 8 წლის წინად საბჭომ სესხის აღების უფლება გამოითხოვა და, როცა ჯერი მიდგა ხსენებული სესხის განაღდებაზე, ჩვენმა საბჭომ უკან დაიხია და მიზეზად ის მოიტანა, რომ სესხს ჩვენ მოვიხმარებთ, ფულები ხელში შემოგვეფქმებაო და... სესხის განაღდებაზე უარი სთქვა იმ დროს, როცა სხვა ქალაქები თავ პირს იმტვრევენ სესხის აღების უფლების მისაღებად. რაც 6—7 წლის წინად იყო, დღესაც იგივეა; ერთს საბჭოს სამსახურის ვადა გაუვიდა და მეორე იმისი ნამდვილი ასლია და ვიდრე ქალაქის დებულება არ შეიცვლება, საბჭოს შემადგენლობაში არსებითი ცვლილობის

შეტანა შეუძლებელი იქნება და ამიტომ ჩვენს ქალაქსაც არაფერი ეშველება.

სხვა სიკეთესთან ერთად ჩვენს საბჭოს ერთიც დასჩემდა—აბსენტეიზმი—მოსწყინდათ ძველია—ძველ ხმოსნებს საბჭოში სიარული და ხშირად ხმოსანთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო საბჭოს სხდომა არ ხერხდება, რაც ქალაქის საქმეების ბიუროკრატიულ მსვლელობასაც-კი აფერხებს.

ერთი წელიწადი და დარჩა ახლანდელ საბჭოს სამსახურის ვადის შესრულებამდი და ეს ოთხი წელიწადი ისეთივე უმნიშვნელო იქნება ჩვენი ქალაქის საქმეთა გაუმჯობესობისთვის, როგორც წინა ოთხი წელიწადი იყო. **ფარსეგი**

უგანათლ. თავადის უჩა დადიანის საქმე*)

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მოწმე ზაკუსოვი, ოზურგეთის მაზრის უფროსი. ერთხელ ჩემთან მოვიდა განსვენებული თავად ალექსანდრე დადიშქელიანი და მითხრა—უსახელო წერილი მივიღე, ვიღაცა მოკვლას მიპირებსო. მე ვურჩიე, ფრთხილად ყოფილიყო და, ამას გარდა, მინდოდა მისი დაცვის საქმე მომეწყო, მაგრამ მან იუარა დამითხრა—დაცვა არაფერს მიშველისო: თუ მომკლავს, დადიანი მომკლავსო. მე მაინც დავავალე ბოქაულს, თვალყური ედევნებინა, რომ ვინმეს არაფერი ევნო თავადისთვის. გავიდა რამდენიმე ხანი და ალშიბაია და ბაკურია დააპატიმრეს. ალშიბაიას პასპორტი ჰქონდა და გაუშვეს, ხოლო ბაკურია შეიპყრეს, რადგან ნება დაურთველი რევოლვერი აღმოაჩნდა (საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ ეს რევოლვერი, როგორც შემდეგში გამოირკვა, უჩა დადიანისა ყოფილა).

თავადი უჩა. რევოლვერს, რომელიც ბაკურიას ჩამოართვით, რა ნომერი ჰქონდა?

ზაკუსოვი. აღარ მახსოვს.

— როდის გაუგზავნეთ გამომძიებელს ეს რევოლვერი?

— აღარც ეგ მახსოვს.

— იქნებ მოიგონოთ, რევოლვერი თავად ალექსანდრე დადიშქელიანის მოკვლამდე გაუგზავნეთ გამომძიებელს თუ მოკვლის შემდეგ?

— მოკვლამდე გაუგზავნეთ.

თავ. ოთარ დადიშქელიანი. მე მინდა ფრიად საყურადღებო რამ განვუცხადო პალატას. შეუწყნარებელი საქმეები ხდება! იურისტი არა ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ, სიმართლის გამოსარკვევად, საჭიროა გამოძიება ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდეს. საჭიროა მოწმეებს თავისუფლად, ძალადაუტანებლად შეეძლოთ თქმა და ჩვენება იმისა, რაც იციან. აქ კი სულ სხვა რამესა ვხედავ: მოწმეებს მუქარას უგზავნიან, როგორც სიტყვიერს, ისე წერილობითს. ზოგიერთს მოკვლასაც კი ემუქრებიან. მოწმეს იუსუფ რაშიდ ოღლის, მაგალითად, მუქარის წერილი მიუგდეს. მე დავამშვიდე, მაგრამ მაინც ვინ არის თავმდები, რომ ამ გვარად დაშინებული მოწმენი სიმართლეს იტყვიან? მეც კი მემუქრებიან. უჩა დადიანმა ზნეობრივ მუქარას მიმართა და ყალბ ფულის ჭრაზე ჩამოაგდო აქ ლაპარაკი. მაგრამ ამ ზნეობრივ და იმ მუქარის გარდა, რომელსაც ბრალდებულებმა და მათმა მომხრეებმა მიმართეს, არის სხვა მუქარაც, რომელიც აი ამ სტოლიდან, დამცველთა სტოლიდან მომდინარეობს (ხმაურობა დამცველთა სტოლზე. ისმის: „რას ამბობს? როგორა ჰბედავს?!“)

თავმჯდომარე. დამცველებს ნუ ეხებით. ნებას არ მოგცემთ...

თავადი ოთარი. თუ აგრეა, აი მაშ ინებეთ დამამტკიცებელი საბუთები.

და თავადმა ოთარმა გადასცა თავმჯდომარეს ქაღალდები. მცირე თათბირის შემდეგ პალატამ ეს ქაღალდები გააცნო პროკურორსა და დამცველებს. ამ ქაღალდებთაგან ერთი ყოფილა რაღაც წერილი ვექილის კლანკისა.

პროკურორი. სამოქალაქო მოდავეს კერძო მიწერ-მოწერა ჰქონია ერთ დამცველთან. პალატას არავითარი საქმე არა აქვს კერძო მიწერ-მოწერასთან. ეგ საბუთის ქაღალდი უკანვე უნდა დაუბრუნდეს დადიშქელიანს.

ვექილი ბობრიშჩევ-პუშკინიც მიემხრო პროკურორის აზრს და დაუმატა, როგორც დადიშქელიანის სიტყვებიდანა სჩანს, მას ძალიან მახლობელი კავშირი და ურთიერთობა ჰქონია მოწმეებთან.

ვექ. კლანკი. რადგან ეს საქმე კერძოდ მე შემეხება, გთხოვთ შინაარსს ქაღალდისას ნუ წაიკითხავთ, მაგრამ თვით ქაღალდი-კი საქმეს ჩაურთოთ, რათა შემდეგ საშუალება მომეცეს დავამტკიცო, რომ მე კი არა, ეგ მემუქრებოდა.

პალატამ დაადგინა, ხსენებული ქაღალდი წაუკითხველად ჩაურთოს საქმეში.

შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს ბოქაულს კალანდიას, უჩა დადიანის მოსამსახურედ ნამყოფს ქობულიავას, მაჭავარიანებს ბარამს და დავითს, უგულავას. ამათში მარტო მაჭავარიანებმა სთქვეს ახალი რამე, რაც წინად, ოლქის სასამართლოში, არ უთქვამთ. ამ მაჭავარიანებს ქალის მოტაცებისთვის სასჯელი აქვთ გადაწყვეტილი და საპატიმროში სხედან. ვექილები მათ ნემსაძესა და ჩიქვაიძეზე ეკითხებოდნენ. მათ სთქვეს,—ნემსაძე დაეძებდა კაცს, რომელიც იკისრებდა დანაშაულობის თავის თავზე აღებას და განაცხადებდა, უჩა დადიანის მოსყიდვით მე მოვკალი დადიშქელიანიო. ერთმა მაჭავარიანმა ისიც სთქვა, რომ ნემსაძე ყვირილაში მეც მთხოვდა მეკისრა ეს საქმეო. მათისავე სიტყვით, ეხლანდელი ბრალდებული კახიძე ხშირად დადიოდა ნემსაძესა და ჩიქვაიძესთან. დუქნებში დაიარებოდნენ, თათბირი და მოლაპარაკება ჰქონდათო. დაამოწმეს ისიც, რომ როდესაც კახიძემ ქუთაისის საპყრობილეში იჯდა, ნემსაძე ფულს უგზავნიდა და, საზოგადოდ, იხმარებოდა.

მოწმე ალექსანდრე გრ—ძე ერისთავი (ძმა კნ. ბაბილინა ერისთავისა). 1909 წელს ტფილისიდან ქუთაისს ჩავედი. ანნა ერისთავისამ მითხრა—თავ. ალექსანდრემ მუქარის წერილები მიიღოო. მითხრა რაღაცეები იმ ხმების შესახებაც, რომელიც კნ. ბაბილინასა და თავ. უჩას შესახებ დადიოდა. მე ვუთხარი—ჭორებია მეთქი, თავი მივანებე და სოფელში წავედი. 9 იანვარს 1910 წელს კაცი მოვიდა სოფელში და მაცნობა დადიშქელიანის მოკვლა. ჩავედი ქუთაისს. ცხედარი ჩვენს სახლში ესვენა, მაგრამ არც ოთარი და არც ჯასული არ შემოსულან ჩვენსას ცხედრის სანახავად. შევეკითხე და შემომითვალეს—არ გვინდა შემოვლაო. გადავასვენეთ მიცვალებული მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში და მერე სვანეთში წავასვენეთ. მე სენაკამდე გავყევი, მერე დავბრუნდი ქუთაისს და შევუდექი მკვლელობის და მკვლელების გამორკვევას. მაშინვე გავრცელდა სხვადასხვა ხმები. უჩაზედაც ლაპარაკობდნენ. გზაში იასონ გელოვანი შემხვდა და მითხრა,—რად ავრცელებენ ჭორებს უჩაზე. ის ამ საქმეში მონაწილეობას არ მიიღებდაო. ამ დროს უჩა სახლიდან არც კი გამოდიოდა. შეუთვალე მოსულიყო, რომ ერთად შევუდგომოდით მკვლელობის აღმოჩენას, მაგრამ მას ეთქვა—როგორ გამოვალ, როცა ყველა ჩემზე ლაპარაკობსო. თითქმის გავიგე მკვლელის ვინაობა, ჩემის ცნობით, იგი ვიღაც ქიქავა იყო. გვინდოდა ანნა ერისთავისთვის გვეჩვენებინა, მაგრამ ქიქავა იმალებოდა. გავიგე, რომ ერთ დღეს ქიქავა ქუთაისს უნდა მოსულიყო. ვაცნობე პოლიციას. დამპირდნენ, მაგრამ სწორედ იმ დროს ქუთაისში სენატორი ვატაცი ჩამოვიდა და პოლიციამ ველარ მოიცალა ქიქავასთვის. ჩემი კაცები ჩაუსაფრე, მაგრამ გაეპარათ. ქიქავა ტფილისში წავიდა გვინდოდა იქ გვენახა. ვთხოვე იქაურ საიდუმლო პოლიციის გამგეს, ეჩვენებინა ჩემთვის, დამპირდა, მაგრამ მერე მითხრა—მე თითონ გავიგებ ყველაფერსაო. არ გასულა დიდი ხანი, რომ ანნამ მითხრა: გამომძიებელმა ყვირილაში წამიყვანა და ვიღაც კაცი მაჩვენა; ცოდვას ვერ ვიკისრებ—ის კაცი არა ჰგავდა მკვლელს, მაგრამ თითონ გამოტყდაო. ამ დროს დადიშქელიანებიც ჩამოვიდნენ სვანეთიდან. მე უამბე ოთარს ქიქავას შესახებ. მაგრამ მან სხვანაირად წაიყვანა საქმე. ჩასჭიდეს ხელი ცინცაძეს, ხოლო ქიქავას ყურადღება არ მიაქციეს. ამ დროს ჩემი და ბაბილინაც დააპატიმრეს. მე რუსეთს წავედი. როდესაც კავკავში საქმე ირჩეოდა, მოვედი სასამართლოში, მაგრამ არ დამკითხეს.

თავ. ალ. ერისთავს კარგა ხანს აძლევდნენ კითხვებს. სხვათა შორის მან დაამოწმა, რომ არდაგანში ყოფნის დროს განსვენებულ ალექსანდრეს მუქარის წერილი მიუღიაო. ილაპარაკა განზრახულ დუელის შესახებ, რომელიც მოწინააღმდეგეთა შერიგებით გათავდა.

შემდეგ დაჰკითხეს მოწმეებს თავ. კონსტანტინე წულუკიძეს, რომლისთვისაც რევოლვერი გაუცვლია თავ. უჩას, და დადიშქელიანთა ოჯახის მოსამსახურე ქალს კესარია აბაიძეს. ამ უკანასკნელს ჰკითხეს განსვენებულ ალექსანდრესა და ბაბილინას ურთი-ერთობის შესახებ, მღვრიე თუ მოწამლულ ჩაის შესახებ. ალექსანდრეს,—სთქვა მან,—ძალიან უყვარდა ბაბილინაო. ბაბილინასაც უყვარდაო. მისივე სიტყვით, ალექსანდრე და ოთარი ერთმანეთში არ დადიოდნენ და, საზოგადოდ, ვერ იყო მათ შორის კარგი განწყობილება.

22 ენკენისთვეს დილით დაიფიცეს ახალი მოწმე—სახელმწიფო სათათბიროს წევრი ვარლამ გელოვანი, რომელიც ამისთვის პეტერბურგიდან ჩამოვიდა.

ამავე დღეს საყურადღებო იყო რამდენიმე ჩვენება: ჩიბინავასი, მანსვეტაშვილისა, ტყავაძესი, ბურჩიანისა, დადიშქელიანის ასულთა ნინოსი და ბარონის ფონ-ისკულის მეუღლის ეკატერინესი.

ჩიბინავა ქუთაისის მაძებარ პოლიციის უფროსია. მან განაცხადა: ალექსანდრე დადიშქელიანის მოკვლის დროს ავად ვიყავი, ამიტომ თვით მკვლელობაზე არა ვიცირა. მაგრამ მოვრჩი თუ არა, შევუდექი მკვლელების ძებნას. გავიგე, რომ მკვლელზე, ქიქავაზე, რაღაც ცნობები ჰქონია სენაკის მაზრის უფროსს მანსვეტაშვილს. მეც წავედი მასთან. როცა მივედი, მანსვეტაშვილმა მითხრა, ეს არის ეხლა აბაშაში შევიპყარით ქიქავა, მძიმედ არის დაჭრილი და, თუ გინდა, გამოჰკითხე რამეო, მაშინვე შევედი. ქიქავამ თითონ დამიწყო ლაპარაკი: ალბად შენ დადიშქელიანის მკვლელებს დაეძებო; ვიცი ვინც არიან—ჯვარელმა გლეხებმა მოჰკლესო. შევატყე, რომ ტყუილს ამბობდა. გავიგე, რომ ალექსანდრეს მკვლელი უხახავს ჩარკვიანის მზარეულს ტყავაძეს. მივიყვანე ეს ტყავაძე და ვაჩვენე ქიქავა. ნახა თუ არა სთქვა—ეს არის მკვლელიო. მინდოდა საქმე განმეგრძო, მაგრამ როცა გამომძიებელს ვაცნობე ქიქავას შესახებ, მან სთქვა, მკვლელი უკვე ვიპოვნე, იგი ცინცაძეაო, და მეც თავი გავანებე.

მანსვეტაშვილი, სენაკის მაზრის უფროსი. 8 იანვარს 1910 წელს, ალექსანდრე მოჰკლეს. ქუთაისის პოლიცმეისტერმა მაცნობა, მკვლელი, ვინმე ქიქავა, შენს მაზრაშიაო. ვიშოვნე ქიქავას სურათი და გავგზავნე ქუთაისს; იქ ანნა ერისთავისთვის ეჩვენებინათ და მასაც იგი მკვლელად ეცნო, ამავე დროს გავიგე, სად იყო ქიქავა, ჩაუსაფრდი და შევიპყრე. შეპყრობის დროს მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში დავაწვინეთ. ვაცნობე მთავრობას, მალე მოსულიყო გამომძიებელი, რადგან მეშინოდა, არ მომკვდარიყო. მე თითონაც გამოვკითხე. ქიქავამ ჯერ უარი სთქვა,—არა ვიცირა დადიშქელიანის მკვლელებზეო. მერე განაცხადა: 1905 წელს ალექსანდრე სვანეთში მიდიოდა; გზაზე გაცარცვა დაუპირეს, მაგრამ დაასწრო და ერთი მძარცველთაგანი მოჰკლა. აი ამათ გადაუხადეს ეხლა სამაგიეროო. ქიქავა ყოყმანობდა, ვატყობდი კიდევ რაღაც იცოდა, მაგრამ გამოძიება ჩემი საქმე არ იყო და თავი გავანებე. ამ დროს ჩიბინავა მოვიდა, თან მოიყვანა მკვლელის მნახველი ყმაწვილი და აჩვენა მას ქიქავა. ყმაწვილმა განაცხადა — მკვლელი ეგ არისო. ყველაფერი ეს გამომძიებელს უსტინოვს (ეს იძიებდა ალექსანდრეს მკვლელობის საქმეს) ვაცნობე, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქცია. მერე მე თითონ წავედი გამომძიებელთან, მაგრამ მითხრა, მკვლელი უკვე ვიპოვნე და შევიპყარი, იგი ცინცაძეაო. მეც აღარ გამოვედგომივარ ამ საქმეს.

ხსენებული ქიქავა რვა თვის შემდეგ მოჰკლეს. სასამართლოდან გაქცევა დააპირა, ჯარის კაცმა ესროლა და მოჰკლა.

ტყავაძემ, ჩარკვიანის მზარეულმა, განაცხადა: რვა იანვარს ჩვენს ეზოში ვიღაც კაცი შემოვარდა ტანზე ნაბადი ჰქონდა წამოსხმული, ხოლო თავი ყაბალახით ჰქონდა შეხვეული. მან რევოლვერი მომიღერა, მერე ნაბადი დააგდო და გადახტა ღობეზე მეზობლის ეზოში. იქ ყაბალახი მოიხსნა, ჯიბეში ჩაიდო და მერე მიიმალა. სახე კარგად გავარჩიე და როდესაც ჩიბინავამ აბაშაში წამიყვანა და ვიღაც კაცი მაჩვენა, მაშინვე ვიცანი, რომ ის იყო.

ტყავაძეს დიდხანს ჰკითხავდნენ პროკურორიც და დამცველებიც. ჰკითხეს: რა სახისა იყო ის კაცი, როგორ შემოვარდა ეზოში, როგორ გადახტა ღობეზე და სხვა; აგრეთვე: რომ გაჩვენეს—როგორ იწვა ის კაციო, ღამე იყო თუ დღეო და სხვა.

ბურჩიანმა, სვანმა, ოთარ დადიშქელიანის მოსამსახურემ, სთქვა: თათარხანმა სვანეთიდან ქუთაისს გამგზავნა. როდესაც ლასურიაში ჩავედი, კნ. ბაბილინამ ორი წერილი გამატანა ვიქტორ ახვლედიანთან: ერთი თითონ ახვლედიანთან იყო, მეორე (ამას ადრესი რუსულად ეწერა) უჩა დადიანთან. ალპანაში ეტლი შემხვდა შიგ იჯდა აფიცერი და ვიღაც კაცი, ვიკითხე და ის აფიცერი უჩა დადიანი გამოდგა. იქვე სამი კაცი იყო და ერთმანეთში ლაპარაკობდა. ერთმა სთქვა უჩაზე: ძალიან მ.....ა (სალანძღავი სიტყვაა), ლამაზი ქალი ჩაიგდო, კნ. ბაბილინაო. მეორემ დაუმატა: მაგ საქმეში ვიქტორ ახვლედიანი იყო მაშვალიო. ეს სიტყვები გულში მომხვდა. წერილები ახვლედიანს აღარ წაუღე, წავედი დ გარდაფხაძეს და ჩიქოვანს წავაკითხე. წერილში კნ. ბიბილინა უსაყვედურებდა უჩას—დაპირებას რატომ არ ასრულებო. შენ ქუჩის გოგო ხომ არა გგონივარო. შემდეგ ეს წერილები ჩვენ სოფელში მღვდლის ცოლს გადავეცი.

დამცველებმა აღნიშნეს, რომ ამ მოწმეს წინად უჩვენებია: ეტლში უჩა და კნ. ბაბილინა იჯდაო. შემდეგ შესცვალა—უჩა და ვიღაც კაცო მასვე ეთქვა—მღვდლის ცოლს უამბე წერილების შინაარსიო. ეხლა—თითონ წერილები გადავეციო.

(შემდეგი იქნება)

ბიბლიოგრაფია

ოლივერ ვარდროპ. Catalogue of Georgian manuscripts.

ამ კატალოგში განხილულია სულ ექვსი ქართული წიგნი ბრიტანიის მუზეუმისა. მათგან ორი ტყავზე დაწერილი ხელნაწერია. პირველია კრებული, რომელშიაც მოთხრობილია ცხოვრებანი საბასი, ხარიტონისა, კვირიაკესი და სხ. მამებისა. აქა-იქ მოხსენებულია წერილების გადამწერნი იოანე და სხ. „ქრისტე ადიდენ მოძღუარნი ჩემნი სულიერნი იოვანე და მამაჲ გიორგი“; „ქრისტე, შეიწყალენ სულითა ძმანი ჩემნი საყუარელნი გიორგი, მიქაელ და საბა“. მეორე ხელნაწერი შეიცავს საგალობლებს. მეოთხე წიგნის 125 გვერდზე ასეთი თარიღია: „ქრისტეს აქათ წელნი ათასი: ექუსასი: ოცდა: თუთხმეტი:. ზედნადები 11: მზის მოქცევისა 3: მოქცევა მთვარისა 19: ქორონიკონი 324:

მეექვსე №-ს წარმოადგენს ქართული ჟურნალი „მუშა“. რომელიც მუზეუმისთვის 1898 წელს შეუწირავს თ. ვარლამ ჩერქეზიშვილს. ბოლოში დართულია საკუთარი სახელების სია. **მ. ჯ.**

რუსეთი

რუსული პრესა ჩვენებური შიმშილობის შესახებ.

დასავლეთ საქართველოს დამშევაზე სატახტო გაზეთებიც ალაპარაკდნენ. „რუსკოე სლოვოს“ მე-218 ნუმერში წერილია მოთავსებული: „შიმშილი საქართველოში“.

გაზეთი სწერს:

„არავის ახსოვს საქართველოში ასეთი გვალვა.

ზაფხულის სამ თვეში ერთი ცვარი არ ცასცემია მიწას. ტემპერატურა დიდი იყო. 35—40 გრადუსამდე ჩრდილში და 40—50 მზეზე. უწვიმობისა გამო ნათესი გავერანდა. აქაური გლეხის ქირნახული—სიმინდი მიწას ვერ ასცილდა და ველში ძირიანად ამოხმა. ასეთივე ბედი ეწვია ღომსა და ფეტვსა.

ქირნახულთან ერთად ვენახიც ამოხმა, რაც აქაური გლეხის ცხოვრების უმთავრესს წყაროს წარმოადგენს. ვენახს ფოთოლი შეახმა და გასცვივდა.

ხეებზე ნაყოფი გახმა, ბალახი ამოიწვა ბალახის გახმობამ პირუტყვი შეაწუხა. ქუთაისის გუბერნია შიმშილის კარსა სდგას.

მორაპნის მაზრაში მცხოვრებთ მოსავალი ერთ თვესაც არ ეყოფათ...

არც ადგილობრივი დახმარებაა! ერობის ხსენებაც ხომ არ არის არც რაიმე სასურსათო ორგანიზაციაა“.

მაქსიმ გორკის ავადმყოფობა. მაქსიმე გორკი ამ ჟამად ძლიერ ავად არის. ექიმის რჩევით მწერალი კუნძულ კაპრიდან ნეაპოლს გადასახლდა. გორკი რუსეთში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მძიმე ავადმყოფობა ამის ნებას არ აძლევს. იგი მუშაობას ეხლაც თავს არ ანებებს და განუწყვეტლივ შრომობს, რაც მისი ჯანმრთელობისთვის ძლიერ მავნებელია თურმე.

ინსტიტუტის ახალი წესდება. პსიხონევროლოგიური ინსტიტუტის საბჭოს კრებამ მიიღო ახალი წესდება, რომლითაც ებრაელებისთვის პროცენტიანი ნორმა არსდება. ამ წესდების მიღებით ინსტიტუტს სახაზინო სასწავლებლის უფლებანი მიენიჭება. პროექტმა დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია ზოგიერთ პროფესორის მიერ, მაგრამ უბრალო უმრავლესობით მაინც გავიდა. წესდების მიღებას არა ერთხელ მოითხოვდა განათლების მინისტრი. ახალი წესდების მიღების შემდეგ უნდა მოველოდეთ, რომ ბევრი გამოჩენილი პროფესორი იძულებული იქნება ინსტიტუტს თავი დაანებოს, რადგან განათლების მინისტრი მათ არ დაამტკიცებს. დამტკიცება კი აუცილებელია, რაკი სასწავლებელი სამინისტროს ხელში გადადის.

შეკითხვა სათათბიროში. კავკავის რკინის გზაზე მომხდარ უბედურების გამო ჩერნომორიის გუბერნიის და ყუბანის ოლქის დეპუტატი ნ. ნიკოლაევი მასალას აგროვებს და შემდეგ შეკითხვას შეიტანს სათათბიროში. დეპუტატი გაზეთის საშუალებით მიმართავს ყველას, ვინც რამე იცის ამ უბედურების შესახებ.

სხვა და სხვა ამბავი

ახალი ლოცვა. ებრაელების გამოჩენილმა რაბინებმა შეადგინეს ახალი ლოცვა, რომელიც უნდა იკითხებოდეს დიდ დღესასწაულებში, სინაგოგაში. ეს ლოცვა ბეილისის საქმის გამო შედგენილი. ლოცვა ასე იკითხება: „შეგვიწყალენ ჩვენ, მოგვაშორე შავი ლაქა სისხლის ბრალისა, რომელსაც ჩვენ და ჩვენს წმინდა თორას მიაწერენ. გვევედრებით შენ: ზეციდან გამოიხსენ შენი ხალხი კიევის სასამართლოს დროს. გვასწავლე, როგორ აღვადგინოთ ჭეშმარიტება. განაბნიე მტერი, რომელიც ტყვილად გვდებს ბრალს. განანათლე ჭეშმარიტების სინათლით მსაჯულნი, რათა ხედავდნენ ჭეშმარიტებასა. ჩვენს გამართლებას გვედრებთ, წმინდა თორის გულისთვის. რათა ერებმა იცოდნენ სიმართლე და სიწმინდე თორისა შენისა. შეგვეწიენ ჩვენ, უღვთოდ ტანჯულთა“.

თეატრი და ხელოვნება

29 სექტემბერს ქართულ თეატრში წარმოადგინეს ნებოტის პიესა „დედაკაცი და დედა“. პიესამ მწყობრად ჩაიარა, უადგილობის გამო რეცენზიის დაბეჭდვა დღევანდელ ნომერში ვერ მოხერხდა.

ახალი კლუბი. დღეს სამშაბათს „ახალ კლუბში“ იმღერებს ცნობილი მომღერალი ქალი ვ. დოვიატ-ლიუბიმოვისა, რომელიც მშვენივრად მღერის ციგნურ რომანსებს და რუსულს ხალხურ სიმღერებს. ქ. დოვიატი ტფილისში ნამყოფია, შესწავლილი აქვს აღმოსავლეთის მუსიკა; მღერის ქართულადაც და გამოთქმა სრულიად წმინდა და მკაფიო აქვს. ქართულს სიმღერებს შეასრულებს საზანდრის აკომპანიმენტით.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ, რომ როცა შარშან დონის-როსტოვში ქართულად „სალამო“ გაიმართა წ. კ. საზოგადოების სასარგებლოდ, ქ. დოვიატ-ლიუბიმოვისამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ „სალამოს“ გამართვაში.

მიშელ დარიალის (მ. ნანობაშვილის) დებიუტი ზიმინის თეატრში. კვირას. 22 სექტემბერს, ჩვენს თანამემამულეს მიშელ დარიალს ს. ი. ზიმინის თეატრში უმღერია ფაუსტის პარტია. სატახტო გაზეთების სიტყვით ბ-ნს მიშელ დარიალს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე. გაზეთები სხვათა შორის, აღნიშნავენ: დარიალს საკმაოდ დიდი ხმა აქვს, რაც შეძლებას აძლევს მომღერალს შეასრულოს როგორც დრამატიული, ისე ლირიკული პარტიები; დიქცია მკაფიო აქვს, ხმის მოხმარება იცის და თან ახლავს სამუსიკო ცოდნაც, რის გამოც ბ-ნი დარიალი ზიმინის თეატრისთვის ფრიად საინტერესო ძალას წარმოადგენს.

სახალხო სახლი. ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს, ქართ. სახ. წარმოდ. მმართ. წრე წარმოადგენს პირველად მ. მეტერლინკის კომედიას „წმ. ანტონის სასწაული“ დასასრულ მხიარული ვოდევილი „არივ-დარია“. მონაწილეობას მიიღებენ „წრის“ ძალები, რეჟისორი ალ. წუწუნავა. ახლო მომავალში წარმოადგენენ შიუკაშვილის „მეგობრობა“-ს, „იმედის დაღუპვას“, „რევიზორს“.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

29—30 სექტემბერი.

უცხოეთი.

ლონდონი. სიუ-სენ-ჯენსში სუფრაჟისტმა ქალებმა ფანჯრები ჩალეწეს ექიმების ბინაზე დატუსაღებულ მისს რიჩარდსონის ძალად კვების გამო პროტესტის გამოსაცხადებლად. ვესტმინსტერში მწუხრზე 20 სუფრაჟისტმა ქალმა იმღერეს: „ღმერთო, ფარვიდე მერი რიჩარდსონს, ჯენ შორტს, რომელთაც ციხეში ძალად კვებავენ“.

კონსერვატორმა (მიდმა ვესტბრომვიჩში სიტყვა წარმოსთქვა ჩერჩილის საპასუხოდ. ტყუილად ჰგონია ჩერჩილს, ულსტერლების მოძრაობას ეკლოს, ულსტერს დროებითი მთავრობა ეყოლება იმ დღიდან, როცა ჰომრულის ბილი კანონად იქცევა.

ლივერპულიდან იტყობინებიან, როტერდამში მიმავალ გემ „ვოლტურნოზე“ 27 სექტემბერს ცეცხლი გაჩნდა. გემზე 500 მგზავრი იყო. უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით გამოიწვიეს ათამდე გემი. გადაარჩინეს 521 კაცი, აკლია 236 კაცი.

ვერფორდში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც ლოიდ ჯორჯმა დაიწყო კამპანია მიწათ-მფლობელობის რეფორმის თაობაზე. მიტინგს დაესწრო 2,500 დელეგატი 250 ლიბერალურ ორგანიზაციის წარმომადგენელნი. ჯორჯმა განაცხადა, რეფორმა წვრილ მესაკუთრეებს მიწათმფლობელობას გააძლიერებს. წვრილ მიწათმფლობელებს მთავრობა ფულით დაეხმარება.

ლივერპული. „ვოლტურნო“ ნიუ-იორკს მიემგზავრებოდა. გემი „ურანიუმ-ლინს“ ეკუთნოდა და როტერდამზე იყო მიწერილი, უმთავრესად გადასახლებულები მიჰყავდა. ცეცხლი დილის ცხრა საათზე გაჩნდა, როდესაც გემი ზღვაზე იმყოფებოდა ჩრდილოეთის 48 გრადუსსა და 25 მინუსსა და დასავლეთის 34 გრადუსსა და 33 მინუსს შორის. გემზე იყო 24 მგზავრი პირველი კლასისა, 540 მესამე კლასისა და 93 კაცი გემის მოსამსახურე, პირველად მოეშველა გემი „კარმანია“. ჩაუშვეს 8 ნავი, აქედან 2 ნავის მგზავრები დაიღუპნენ. ნაშუადღევს 8 დიდი გემი მოვიდა საშველად. საღამოს ჩაუშვეს ნავები, მაგრამ ღელვის გამო „ვოლტურნოს“ ვერ მიუახლოვდნენ“. 9 საათზე ცეცხლი შუა გემზე გადავიდა და გემი აფეთქდა — გემმა ჩაძირვა იწყო. მთელი ღამე „კარმანია“ პროჟეკტორებით ზღვას ანათებდა, რათა მცურავი ნავები აღმოეჩინა. გათენებისას „ვოლტურნო“ კიდევ წყალზე იდგა. ღელვა დაწყნარდა. მაშველი ნავები შემოკრბნენ „ვოლტურნოს“ გარშემო და მგზავრების გამოხსნას შეუდგნენ. გადაარჩინეს 521 კაცი.

კარტახენა. პუანკარესა და მეფეს ესპანიის, ინგლისის და საფრანგეთის ჯავშნოსნები ზარბაზნების სროლით შეხვდნენ. სადილზე პუანკარემ და ესპანიის მეფემ ერთმანეთი ადღეგრძელეს და იმედი გამოსთქვეს ორთავ სახელმწიფოს დამეგობრების გამო.

რუსეთი.

ბეილისის საქმე.

მეოთხე დღეს სასამართლოს კრება დაიწყო 12 საათზე. ჩვენება ჩამოართვეს პოლიციელს ლეშჩენკოს, რომელიც სენიცკის განცხადების გამო ღვიმეში მივიდა გვამის სანახავად. მოწამის გამომძიებელთან მიცემულ ჩვენებას ბრალდებულის შუამდგომლის თანახმად აქვეყნებენ, რადგან მოწმეს აღარ ახსოვს პირვანდელი ჩვენება. მოწმე მოიგონებს, იუშჩინსკის ჯიბეში რომ ტილოს ნაგლეჯები იპოვნა. ექსპერტის პროზექტორის ტუფანოვის შეკითხვაზე ლეშჩენკო ადასტურებს, მოკლულის ზურგის მეორე ნაწილი მიტმასნებული იყო ღვიმის კედელთან. მოწმეს არ ახსოვს, ეს ნაგლეჯი იყო თუ არა განსვენებულის ჯიბიდან რომ ამოიღო და ხელ-ახლა ჩადვა. პროკურორის შეკითხვაზე, უბნის ზედამხედველმა ჩასწერა თუ არა ოქმში ეს ამბავი; ჩვარი რომ ამოიღეს და ხელ-ახლა ჯიბეში ჩადვესო, მოწმე უპასუხებს—არც ეს მახსოვსო. „ამ ჩვარს კი დიდი მნიშვნელობა აქვს“ შენიშნავს პროკურორი. გრუზენბერგის შუამდგომლობის თანახმად ეს სიტყვები ბრალდებულისა ოქმში შეიტანეს. უბნის ზედამხედველი პოდგორსკი ამბობს, 20 მარტს საპოლიციო უბნიდან მოწერილობა მივიღე გვამის აღმოჩენის თაობაზე და დავათვალიერე მღვიმეო. შემდეგ მოვიდნენ ბოქაული რაპოტა და მისი თანაშემწე. შეკითხვის დროს ირკვევა, მოწმეს რაპოტის ბრძანებით გამოძიება მოუხდენია და ოქმი შეუდგენია სისხლის სამართლის მე-

---

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 1004.

258 მუხლის ძალით. მოწმეს არ ახსოვს, დაათვალიერა თუ არა მოკლულის ჯიბეები. ქაღალდების ნაგლეჯები კი ნახა მღვიმეს ახლო. გამოქვეყნებულ იქმნა მოწმის წინასწარ გამოძიების დროს ჩვენება. ბრალმდებელი წინასწარ გამოძიებაზე, გამომძიებელთან და ეხლანდელ მიცემულ ჩვენებათა შორის წინააღმდეგობას ხედავს. ბრალმდებელის შუამდგომლობისა გამო თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთ განუმარტავს მე-258 მუხლს. ბრალმდებელი დასძენს, მე 258 მუხლის ძალით პოლიციის გამომძიებლის მაგიერობა მაშინ შეუძლიან, როდესაც გამომძიებელის მოყვანა ძნელია, თუ გამომძიებელს შეუძლია დროზე მოვიდეს, მაშინ მე-258 მუხლს ვერ ისარგებლებენ. თავმჯდომარე ადასტურებს, ამ შემთხვევაში ადგილი დაშორებით იყოო.

ჟურნალისტი ბორშჩევსკი, რომელსაც გაზ. „კიევსკაია მისლის“ რედაქციაში ალექსანდრა და ლუკა პრიხოდკოებმა ანდრიას დაკარგვა აცნობეს და გაზეთში გამოცხადება სთხოვეს, ამბობს:—ძლიერ გამაკვირვა მშობლების უცნაურმა ყოფაქცევამ; სრულებით მშვიდათ მიამბობდნენ შვილის დაკარგვის ამბავსაო, ლუკა იცინოდა კიდევაცო. მაგრამ მოწმეს საჭიროდ არ დაუნახავს ეს ეცნობებინა გამომძიებლისთვის. გვამის პოვნის შემდეგ, მოწმეს 22 მარტს შეუვლია მეათე ნაწილის გამომძიებელ პროკოფიევთან სარედაქციო ცნობებისთვის და, სხვათა შორის, უკითხავს: მნიშვნელობა აქვს თუ არა საქმისთვის მშობლების ყოფა-ქცევას, რედაქციაში რომ გამოიჩინესო. პროკოფიევს ურჩევნია მოწმისთვის, ეამბნა ეს იმ გამომძიებლისთვის, მოკვლის საქმეს რომ იძიებს.

შმაკოვი სასამართლოს უთითებს იმ გარემოებას, რომ მოწმეს გამომძიებელთან პროკოფიევზე არა უთქვამს რაო. ბობშჩევსკიმ განაცხადა 22 მარტს, ხოლო 24 მარტს პრიხოდკოები დატუსაღებულნი იყვნენო.

ჟურნალისტი ოდინსკი სასამართლოს უამბობს კლეიმანის სახლში გაგონილს და მრეცხავი ქალის სიმენენკოვის ნათქვამს იუშჩინსკის მოკვლის თაობაზე. მოწმემ ეს ცნობები თავისი სურვილით გადასცა გამომძიებელს. მოწმე დასძენს, სიმონენკომ სთქვა: „ყველა იმას გაიძახის, ებრაელებმა მოჰკლესო, მე კი ვიცი, ვინც მოკლა“. შმაკოვი, ზამისლოვსკი და დურასოვიჩი მოწმეს რამდენიმე შეკითხვას აძლევენ გაზ. „კიევსკაია მისლის“ სამი თანამშრომლის, აგენტ ვიგრანოვისა და ვერა ჩებერიაკის რესტორანში შეხვედრის თაობაზე. მოწმე იყო ოთახში, მაგრამ საქმისა გამო ტელეფონთან მივიდა. ჩებერიაკის მთელი ნაამბობი, რომელიც სინამდვილის შთაბეჭდილებას სტოვებდა, არ მოუსმენია. გაიგო მხოლოდ, რომ ჩებერიაკა ამბობდა, იუშჩინსკი ძმებმა მიფლეებმა და ვიღაც ნათესავთაგანმა მოჰკლესო. რესტორანში საათნახევარი დაჰყვეს. ჩებერიაკს არავინ ეუბნებოდა, ბრალდება თავის თავზე მიეღო. ფული ფსონით გადაიხადეს. კრების მოწვევი, როგორც ეტყობა, ბრაზულ-ბრუშკოვსკი იყო. საზოგადოდ ფრთხილი ჩებერიაკი, ვიგრანოვს ძლიერ ენდობოდაო. გრუზენბერგის შეკითხვაზე მოწმე ადასტურებს, გამომძიებელმა „კიევსკაია მისლში“ განცხადება დაბეჭდა და ყველას, ვინც კი რამე იცოდა იუშჩინსკის საქმისა, სთხოვდა მისთვის ეცნობებინათ; მოწმე ქალი კლეიმანი სიმენკოს იმ ჩვენებას, თითქო ბავშვი სარგებლობისთვის დედას, მამინაცვალს და მამინაცვალის ძმას მოეკლას, კიდევ დასძენს შემდეგს, ორდინსკიმ ეს ამბავი კარს ამოფარებული გაიგონაო. ანნა ზაბლუცკი, რომლის სახლშიაც „სლობოდკაში“ პრიხოდკოები იდგნენ, აჩვენებს: სამ ბინისაგან შემდგარ ერთსართულიან სახლში, იმისი ბინიდან ყველაფერი, რაც მეზობლისას მოხდებოდა, ესმოდა. ამტკიცებს, რომ მის სახლში მკვლელობა არ მომხდარა. დედა, როცა ბავშვის ამბავი გაიგო, ძლიერ მწუხარებდა და ბევრჯერ გულწასულს წყალით მოვაბრუნებდიო ხოლმეო. თან მოწმე დასძენს, ლუკა მთელ კვირას ქალაქში რჩებოდა. სახლში ღამეობითაც არ მოდიოდა, შაბათს საღამოს დაბრუნდებოდა სახლში და ორშაბათს დილით ისევ წავიდოდა. ბრალმდებელი აღნიშნავს მოწმის სიტყვებს, რომ ანდრია პარასკევ ღამეს სახლში დარჩა და მოწამეს ესმოდა, ბავშვი როგორ ეთამაშებოდა ძმებს. მოწმე ქალები მიაკშილოვები ადასტურებენ მშობლების მიერ კარგ მოპყრობას ანდრიასადმი. ზაბლუცკი, ანნას ქმარი, საზოგადოდ ცოლის ჩვენებას ადასტურებს, ხოლო ლუკა პრიხოდკოს თაობაზე ამბობს, თითქოს ის ყოველთვის ღამე სახლში ყოფილიყვეს და პარასკევ საღამოსაც სახლში იყოო. გამოკითხვის დროს ირკვევა, მოწმე პირადად არ გასინჯავდა ხოლმე, ყველა მდგმური იყო სახლში თუ არა. ლატოგუზი, ზაბლუცკის მდგმური, ამბობს, პრიხოდკოს სახლში ხმაურობა გაიგონიაო. ალექსანდრამ, შვილის სიკვდილი რომ გაიგო, იმწუხრა და იტირაო.

მთელს სამს საათს გასტანა ნაკონეჩნის შეკითხვამ. მოწმეს მეტ სახელად ბაყაყს ეძახიან. ჩებერიაკოვი და ნაკონეჩნი ერთს სახლში სცხოვრობდნენ. კითხვებს აძლევდნენ უმთავრესად სამოქალაქო მოდავის წარმომადგენელნი და ბრალმდებელი. მოწმე უამბობს სასამართლოს თავისი და მეფარნე შახოვსკის საუბარს. მეფარნე შახოვსკიმ უთხრა მოწმეს, ანდრია 12 მარტს მე-40 ნომრის სახლის ჭიშკართან ჟენია ჩებერიაკოვთან და ვიღაც ბავშვთან იყოო და როცა ჩვენების მისაცემად მიდიოდა ამბობდა ამ საქმეში გავხვევ მენდელსაო. მოწმეს პირველად არ დაუჯერია ეს ამბავი, მაგრამ შემდეგ წასულა გამომძიებელთან და ყველაფერი უამბნია, რათა მართალი კაცი არ დასჯილიყო. პრიხოდკოების სლობოდკაში გადასახლების შემდეგ, ანდრია მოწმეს არ უნახავს, ხოლო ბავშვები ეუბნებოდნენ მოწმეს, ანდრია ჟენია ჩებერიაკოვთან დადის სათამაშოდო. ბავშვების ზაიცევის ეზოში თამაშობის თაობაზე, მოწმე ამბობს 1910 წლ. შემოდგომიდან ეზოში ბავშვებისთვის საცურავი არ იყო, ეზოს დიდი გალავანი შემოავლეს, წინად, როგორც ეს თავის ქალის ევდოკიასაგან გაუგონია მოწმეს, ყინულზე მოცურავე ბავშვებში ერივნენ ჟენია და ანდრიუშა. მოწმე აცხადებს, მენდელს რომ მართლა დაეჭირა ბავშვი ამას მთელი ქუჩა გაიგებდაო. პროკურორი ეკითხება მოწმეს, მკვლელობა რომ ჩებერიაკის სახლში მომხდარიყო, სწრაფად მოედებოდა ეს ამბავი ყველას თუ არაო. მოწმე უპასუხებს, შესაძლებელი იყო იქ უფრო ფარულად მომხდარიყოო. გამომძიებელთან ნაკონეჩნის გაუგია, რომ ბეილისს ეშინიან და იქვე უთქვამს ბეილისისთვის ჩემი შიში ნუ გექნებაო. ჩებერიაკოვის გამო მოწმეს უსიამოვნება ჰქონია ცოლთან. ცოლი ციხეშიც მჯდარა ერთი კვირა, რადგან ჩებერიაკისათვის სახეში გაურტყამს. მოწმე აცხადებს ამ გარემოებას არ გამოუწვევია გადამტერება ჩებერიაკისადმი. ზამისლოვსკი მოწმის ეხლანდელსა და წინასწარ გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებათა შორის წინააღმდეგობას ხედავს: მოწმე გამოძიებისას ამბობდა, ანდრია ვიღაც ბავშვთან ვნახეო, ეხლა კი ამბობს ჟენიასა და ვიღაც ბავშვთან ვნახეო. პროკურორიც სთხოვს ნაფიცთ მსაჯულთ, ყურადღება მიაქციონ მოწმის ზოგიერთ ჩვენებას. ზარუდნი თხოულობს, მოწმის მთელი ჩვენება დაიმახსოვრონ.

რადგან მოწმის ქალს ევდოკიას ყველაფერი გადაავიწყდა რაც გამომძიებელს აჩვენა, გამოაქვეყნებენ ჩვენებას მოწმე კითხვებზე უპასუხებს და ამბობს ხშირად ვცურაობდი ყინულზეო. ბეილისი ჩვენ არ გვერეკებოდაო. ზაიცევის ეზოში ღობის ნახვრეტიდან შევდიოდითო. ახალი ღობის გაკეთების გამო, ორ წელიწად ნახევარია, რაც აღარ გვიცურავნიაო. პირვანდელი ჩვენება მოწმეს სრულიად დავიწყებია. პროკურორი დიდ მნიშვნელობას აძლევს მოწმის ჩვენებას და ნაფიც მსაჯულთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საცურაო არ იყო და ბავშვები, სადაც უნდოდათ, იქ სცურაობდნენო. ანდრია მოწმეს ორხელ უნახავს სლობოდკაში—საშობაოდ და აღდგომის წინად 1911 წელს; სამი ბავშვი; ჩებერიაკოვი, ანდრიუშა და მოწამე ერთად სცურაობდნენ; სად დაიკარგა ანდრიუშა, არ იცის. გრიგოროვიჩ ბარსკი აღნიშნავს, რომ მოწმე კატეგორიულად აცხადებს, ვცურაობდით, ვიდრე ახალ ღობეს გააკეთებდნენო. მოწმის მამა ამბობს; ჩემი ქალი განუვითარებელია, ბევრი რამ არ გაეგებაო. ბრალმდებელი ეკითხება მოწმეს: „თქვენ შვიდივე ბავშვი უეიცი გყავსო“? გრუზენბერგის შუამდგომლობისა გამო ეს სიტყვები ოქმში შეიტანეს. მოწმე მრეცხავი ქალი სიმონენკო ამბობს, პრიხოდკოებს არ ვიცნობდი, ანდრიუშა მხოლოდ ერთხელ ვნახეო. მთელი წყება მოწმეებისა აჩვენებს, ბავშვი კარგი იყო და მშობლებს მისი დაკარგვა ძლიერ დანანდათო. სამოქალაქო მოდავის მოწმე ქალი ჩეხოვსკი სასამართლოს განუცხადებს, სასამართლოს პირველ დღეს ვერა ჩებერიაკი პირველად ნახა მოწმეების ოთახში, ჩებერიაკი ბავშვს ზარუცკის ეუბნებოდა: „აჩვენე მოსამართლეებს, რომ ზაიცევის ეზოში თამაშობდით შენ, ანდრიუშა და ჟენია, ბეილისი თქვენ დაგდევდათ. შენ და ჟენია გაუსხლტით, ხოლო ანდრიუშა დაიჭირა და წაიყვანაო. ბავშვს უპასუხნია არ ვიტყვიო. ჩეხოვსკის ქალი ამბობს ოთახში ექვსი მოწმე იჯდა, რომელთაც გამოვიცნობო. ბრალმდებელი მოითხოვს: ეს ახალი ამბავი ოქმში შეიტანეთო. გრუზენბერგი შუამდგომლობს ბრალმდებლის სიტყვები ოქმში იქმნას შეტანილი. ორივე შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

ლუდხანის პატრონი დობჟანსკი ვერა ჩებერიაკს ახასიათებს, საეჭვო ადამიანებთან ჰქონდა საქმეო. 19 მარტს ნეჟინსკი მივიდა მასთან, ამოთხვრილი ტალახით და ძლიერ ღელავდაო. ზამისლოვსკი და შმაკოვი წინააღმდეგობას ხედავენ მოწმის წინანდელსა და ეხლანდელ ჩვენებათა შორის. მოწმე ვასილ იაშჩენკომ, რომელმაც 12 მარტს არხთან საეჭვო პირი ნახა, ტყისკენ რომ მიემგზავრებოდა, როცა ლუკა პრიხოდკო აჩვენეს, ტანისამოსი ამგზავსა, ხოლო სახე ვერ იცნო. მაკლაკოვი ამტკიცებს, რომ 12 მარტიდან 30 ივნისამდე, როდესაც ლუკა პრიხოდკო აჩვენეს მოწმეს, წვერი შეიძლებოდა გაზრდოდა პრიხოდკოს და ამიტომ საჭირო იყო წვერის მოპარსვაო. კითხვების მიცემის დროს ირკვევა, რომ ლუკა ხან იპარსავდა წვერსაო. მოწმეს გამოძიების დროს ლუკა პრიხოდკო ერთხელ გრიმში აჩვენეს და ერთხელაც წვერ გაპარსული. მოწმეს სურს სასამართლოს წარუდგინოს იუშჩინსკის დასაფლავების დროს რომ დაჰყარეს და რომელიც მოწმეს მეჩქმე პოლიციელმა გადასცა. ზარუდნის უარს ეუბნებიან პროკლამაციის საქმეში ჩატანების თაობაზე. მთელ ორ საათს ალაპარაკებენ მოწმე მეფარნე შახოვსკის. შახოვსკი, რომელიც ჩებერიაკის გვერდით სცხოვრობდა, უამბობს სასამართლოს: 12 მარტს, 10 საათზე ანდრიუშა და ჟენია ჩებერიაკი ერთად ვნახეო. ანდრიუშას წიგნები და რვეულები არ ჰქონია ხელში, ვერა ჩებერიაკისას დასტოვაო. ანდრიუშა მერმე აღარ უნახავს ორი დღის შემდეგ ჟენია ნახა, რომელმაც უამბო, რომ ბავშვებს ვიღაც შავ წვერიანი კაცი დაგვდევდაო. მოწმის 8 რუსი დაესხა და მოკვლას უპირებდნენ. აგენტები ათრობდნენ მოწმეს და მოსთხოვდნენ ბეილისისთვის დაედო ხელი. მოწმეს პოლიციელი ოსადჩის, რომელიც გვამის პოვნის დღეს მღვიმეში იყო, ჩვრები არ ახსოვს რომ ენახოს, ბოქაულის თანაშემწე ვიშინსკი, რომელიც გამოძიებას ხელს უწყობდა, აჩვენებს, ანდრიას ბევრი ამხანაგები ჰყავდა რუსი და ებრაელიო. და მათ შორისაც არენდასიო. შნეერსონი ბეილისთან სადილობდაო. საათს ეკითხებიან მეფარნე შახოვსკის ცოლს, რომელიც არეულ ჩვენებას იძლევა. აგენტები მათრობდნენ და მასწავლიდნენ რა მეთქვაო. ბეილისს ეხლა ხელს არ ადებს. 12 მარტს ანდრია და ჟენია სჩებერიაკი ერთად ვნახე კონფეტს სჭამდნენო. გამოიძახეს სტუდენტი გოლუბევი. გაფითრებულია. დაბალის, მაგრამ მშვიდის ხმით ამბობს: „ძლიერ დამაინტერესა იუშჩინსკის დაკარგვამ. მე, როგორც წევრი „ორთავიან არწივის“ საზოგადოებისა დაცვის წესის აგებას. ხალხში ხმები იყო: დიდმა მოჰკლაო, ბავშვებმა მოჰკლესო, ამბობდნენ ურიებმა მოჰკლესო. 17 აპრილს მონარქიულ ორგანიზაციების ინიციატივით პანაშვიდი გადავიხადეთ. უეცრად გული წაუვა. ექიმი ტუფანოვი სპირტს მიაწოდებს. წყალს აშხურებენ. მოწმე თავმჯდომარის ნებართვით დამჯდარი ლაპარაკობს. თანდათან სუსტდება და ექიმებს გაჰყავთ. გამოაქვეყნეს მოწმე რავიჩის ჩვენება, რომელიც სასამართლოში არ მივიდა. მოწმეს ჩებერიაკოვის ბავშვებმა უამბეს, რომ ანდრიუშა და ჟენია ყვავილების საკრეფად იყვნენო. გრუზენბერგი შუამდგომლობს ოქმში შეტანილ იქმნას მოწმის სიტყვები, რომ ბავშვები ყვავილების მოსაკრეფად იყვნენ და არა ყინულზე საცურავადო.

კრება დაიხურა.

პეტერბურგი. გაიხსნა სრულიად რუსეთის ბოსტნეულობისა და ხილეულობის გამოფენა. ყველა მხრიდან არიან წარმომადგენლები.

პოლტავა. დეპუტატად ოქტომბრისტი კოვალენკო აირჩიეს.

ირკუტსკი. პოჩტამის ქუჩაზე იპოვეს ხვრელი და 54 ჩინელი დაატუსაღეს.

კიშინიოვი. სოფელ ტროიცკში, იზმაილოვის მაზრაში, ხოლერისაგან ავად გახდა 3, გარდაიცვალა 32 კაცი.

ნოვოჩერკასკი. დაიხურა სოფლის მეურნეთა კრება.

მინსკი. მემამულისთვის წინააღმდეგობისთვის და მუშის და მოურავის მოკვლისთვის ორ გლეხს ორი წლის და ექვსი თვის კატორღა მიუსაჯეს, შვიდს გამასწორებელი რაზმი, ერთს—რვა თვის ციხე და სხვები გაამართლეს.

რედაქტორი ა. ჭუმბაძე.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

ვარდის ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ბავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება. **ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711“.**

ნაჭერი 25 კ.

ერთად-ერთი ფაბრიკა: **ფერდ. მიულგენსისა.**

Метцль. 357961.

1506 პარფიუმერია კელნი, რიგა.

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, **„შრომის“** სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიისი. ტელეფ. 9-25,

ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

გამოცდილი რეპეტიტორი **სტუდენტი ფილოლოგი** ამზადებს მოწაფეებს სხვა და სხვა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის.

მოლაპარაკება შეიძლება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში დილის 9 ს. 3-მდე. 1501.

ფეხსაცმელები
თომა დ ჯანუარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში,

მუხრანის **ქ.№ 2.**

ყოველნაირი: **საკუთარი და პეტერბ.**

მეხანიკური ნაწარმოები. 527

ქემო ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეგზარუგი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ზაზანაშვილი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
კ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

მასწავლებელი
სიმ. ა. გრიაზნოვი

ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე სააფთიაქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.

ადრესი.: ვერა, იზმაილოვის მიხვეული სახ. 6. ბინა 8. 584.

კბილის ექიმი ა. ვ. ხოლოდაშვილი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოდ

ქ. ქუთაისში **კ. ი. ოცხელის და ამხ.** წიგნის მაღაზიაში იყიდება მისივე გამოცემა **ქართული სახელმძღვანელო**

„საქართველოს ისტორია“

მესამე გამოცემა სურათებით და გეოგრაფიულ კარტით, შედგენილი **ბ. სიმონ ქვარიანის მიერ** წიგნი ღირს ყდით ორ აბაზად.

„საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ“. ყოველი ერი მაშინ მიდის წინ და ვითარდება, როცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას—ერის აწმყო და მომავალი ცხოვრება უმთავრესად დამყარებულია მის წარსულზე. თუ თავის წარსულს არ გაეცნობა, იგი ვერ გაიკვლევს გზას, როგორც აწმყო ცხოვრებაში, ისე მით უმეტეს მომავალში. თავის წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო გემს, რომელიც უთავბოლოთ დაფორიალობს ზღვის ტალღებში. სწორედ წარსულის შესწავლა, თავის საკუთარი ისტორია ეგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის, რომ განათლებული ერები დიდი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ თავის საკუთარ ისტორიას, მათ სკოლებში უმთავრეს და უსაყვარლეს საგნებს შეადგენენ: სამშობლოს ისტორია, ენა და ლიტერატურა. ეს სამი საგანი მათი განათლების საფუძველია. ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებული ერები—პოლონელი და ფინელი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც ამას გვიკარნახებს ცხოვრების სინამდვილე და მეცნიერება.

ქართველი ერის ჩამორჩენა და დაქვეითება, სხვათა შორის, აიხსნება მით, რომ იგი არ იცნობს თავის დიდებულ წარსულს, რომლის შეგნება გაამხნევებს მას, გააცნობს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავს მის ერსებაში მოქმედების ღრმა რწმენას და მისცემს უშრეტ ძალას წინმსვლელობისათვის. ყოველი ქართველი ზნეობრივად ვალდებულია გაეცნოს და შეისწავლოს თავისი წარსული, ყოველი სკოლა მოვალეა შეასწავლოს ქართველ მოწაფეებს ისტორია.

ამ მოსაზრებით ამ სამი წლის წინად ბ. სიმონ ქვარიანმა შეადგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ეპიზოდური კურსი) დაბალ კლასებისათვის. ამ წიგნში მოთავსებულია ქართველი ერის ცხოვრება, უძველეს დროიდან დაწყებული რუსეთთან შეკავშირებამდი. ეს წიგნი მოიწონა მასწავლებელთა კომისიამ და პრესამ; აგრეთვე მოიწონა იგი იმერეთის ეპარქიულმა საბჭომ და შემოვიდა სახმარებლად მთელ საქართველოში, როგორც კერძო და სამოქალაქო სკოლებში, ისე სამინისტრო და სასულიერო სასწავლებლებში. თავის მარტივი, გასაგები ენით და საგნის მწყობრი დალაგებით ეს წიგნი გავრცელდა ოჯახებში და ფეხი მოიკიდა ხალხში. ეს სასიამოვნო მოვლენა იმის ნიშანია, რომ ქართველი ხალხი იღვიძებს და მასში იბადება სურვილი თავის სამშობლო ისტორიის შესწავლისა.

დღეს ბ. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია“ გამოდის მესამე გამოცემად ხუთი ათასი ცალი. გვწამს რომ მას შეხვდებიან ჩვენი სკოლები, ხალხი და საზოგადოება ისეთივე თანაგრძნობით, როგორც პირველ ორს გამოცემას. ამ მესამე გამოცემას ემატება კიდევ ქართველი ერის უდიდესი გმირის გიორგი სააკაძის სურათი.

1510 გამომცემელი კ. ი ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზია. ქუთაისი.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„ბამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ამერიკულ ვაზის სანერგე
კლო-ქგურული
ქ უ თ ა ი ს შ ი.

ერთად-ერთია, რომელიც სხვა და სხვა ნიადაგზე და სხვა და სხვა ძირზე იმყნება. 1913—14 წ. გვაქვს გასაყიდად 35,000 წოლიკაური, 4,000 კრახუნა. 22,000 ციცქა, 12,000 ანდასაული, 10,000 მწვანე, 32,000 რქა-წითელი, 35,000 საფერავი, 12,000 გალობიშავი, 8,000 ოცხანაური, 25,000 ალიგოტე, 8,000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიენი, 42,000 კაბერნე, 20,000 პოლ ბლანში, 15,000 გრანნუარი, 28,000 განე თეთრი და შავი და 80,000 მეტი საუკეთესო ჯიშის ნამყენი **რუპერსის** დიულო 3309, 101, 14, 1202 და 420 A—65 მან. 1,000 ცალი სალვინე ჯიშისა და 80 მან 1,000 სამეფო ჯიშისა. 665

ადრესი: წერილებისა და დეპეშებისთვის: **კლო-ქგურული, ქუთაისი.**

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
ბუღალტერიის პრაქტიკული კურსები
ი. თ. პალატნიკოვისა.

თხოვნების მიღება და მსმენელთა **ჩაწერვა** ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღჰალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესულ- საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: აზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2, კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორესპ., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 3) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) **უცხო ენები:** ფრანგ. და გერმან., 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღჰალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოდ. 1430

მივიღეთ საყინულე-მატარებლით
პეტერბურგიდან

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ამურის **წითელი ხიზილალა** |კეტოვი|, **სიგი**, დვინის **ორაგული**, **გრუზდი**, **ბრუსნიკა** და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით და ხმელი სოკო. 150

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.